საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაბა ბიბბოს ნაცვლად



ხერარდო „ტატა“ მარტინო „ბარსელონას“ ახალი მწვრთნელია. არგენტინელი სპეციალისტი მომავალი სამი სეზონის განმავლობაში გაუძღვება კატალონურ გრანდს. მარტინოს ბარსელონაში თავისი ორი მუდმივი თანაშემწეც მიჰყავს - ელვიო პაოლოროსო და ხორხე პაუტასო. „ნიუელს ოლდ ბოისისა“ და არგენტინის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ხერარდო მარტინო, როგორც მწვრთნელი ფართო საზოგადოებამ 2007 წელს გაიცნო (იმ წელს ხერარდო სამხრეთ ამერიკის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს), როცა მან პარაგვაის ნაკრები ჩაიბარა. მანამდე „ტატა“ „ლიბერტადთან“ და „სერო პორტენიოსთან“ ერთად ოთხჯერ გახდა პარაგვაის ჩემპიონი.

მარტინო პარაგვაის ნაკრებს 2011 წლამდე წვრთნიდა და კოპა ამერიკას ფინალის წაგების შემდეგ წავიდა. სამწვრთნელო კარიერა მან მშობლიურ „ნიუელს ოლდ ბოისში“ გააგრძელა და ეს გუნდი წელს ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალამდე მიიყვანა.

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 ივლისი **სამშაბათი** 2013
№ 171 (14 087) ფასი 80 თეთრი

# სერბები სიურპრიზს გვიწოდებენ

## სერბეთი VS საქართველო: ჩვენ შორის 1:1-ია

დღეს, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს თითქმის გადამწყვეტი მატჩი აქვს. 19 საათსა და 30 წუთზე სერბეთს ვეთამაშებით, რომელიც სამი ქულით ჯგუფის ლიდერია.

მატჩის წინა დღეს, გუნდების მწვრთნელებმა კომენტარი გააკეთეს მომავალ შეხვედრაზე. აღნიშნეს საკუთარი გუნდების კარგი სტარტი, შეაქეს ერთმანეთი და გამარჯვება დაგეგმეს...

### გიორგი ცეცაძე:

ჩვენ ისევ შეგვიძლია ორი ნახევარმცველის - დავიდ უბილავასა და გურამ სამუშიას გამოყენება, რომლებმაც დისკვალიფიკაცია მოიხადეს. რა თქმა უნდა, ეს ორი მოთამაშე ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. სერბეთის ნაკრებს შესანიშნავად ვიცნობთ, რადგან ახლო წარსულში ორჯერ ვეთამაშეთ ამ გუნდს. რა თქმა უნდა, მათი და თურქეთის თამაშის ვიდეოჩანაწერსაც შევისწავლით. თუმცა მთავარი იქნება ჩვენი თამაში. ბოლომდე მჯერა ჩემი ფეხბურთელების და მიმაჩნია, რომ ამ ტურნირზე წარმატების მიღწევა შეგვიძლია.



წინათქმა

↳2

### ლიუბინკო დრულოვიჩი:

ჩვენს გუნდს აქვს პრობლემები. ბევრი ფეხბურთელი ჯერ არ გასულა ფორმის პიკზე. საქმე ისაა, რომ სერბეთში ახლა წინასასეზონო მზადება მიმდინარეობს, ასე რომ, უახლოეს დღეებში ვარჯიშებზე ბევრი მუშაობა მოგვიწევს. საქართველოს ნაკრებს ძალიან კარგად ვიცნობთ, რადგან ორჯერ ვითამაშეთ მათ წინააღმდეგ. ერთხელ ჩვენ გავიმარჯვეთ, მეორე მატჩში კი მათ მოგვიგეს. მეტიქეს ძალიან ოსტატური გუნდი ჰყავს, რომელსაც შეუძლია ტურნირის აღმოჩენა გახდეს. და მაინც, თუ ჩემი შეგირდები ისევე ითამაშებენ, როგორც თურქების წინააღმდეგ, ჩვენ შევძლებთ მოგებას.

UEFA UNDER19 CHAMPIONSHIP

**დღეს 19:30. მარიამპოლი**

სერბეთი

პირდაპირი რეპორტაჟი მე-9 არხზე

საქართველო

# დღეს ფარერებზე დინამო მესამე ეტაპს გაინაღდებს

22 საათიდან იწყება სტრეიმური-დინამოს მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი კლუბის ვებგვერდზე: www.fcdinamo.ge

↳2

DINAMO TBILISI 1925

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2013. U19

## დღეს 19:30. სერბეთი-საქართველო

# ზვიად სიჭინავა: ეს არ იყო სიმულაცია

დღეს, ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება. საქართველო ჯგუფის ლიდერს სერბეთს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში **გია ცეცაძის** განვრთნილებმა ფრანგებთან 0:0 ითამაშეს, სერბებმა კი თურქეთს 2:1 მოუგეს და ჯგუფის ლიდერები არიან. ასე რომ, დღეს "ჯვაროსნებს" მოგება ჰაერივით სჭირდებათ.

სასიხარულოა, რომ გუნდს დაუბრუნდებიან დისკვალიფიცირებული **დავით უბილავა** და **გურამ სამუშია**, რომლებიც ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები არიან.

პირველ ტურში ბოსნიელმა მთავარმა არბიტრმა **ემირ ალეჩკოვიჩმა** ორ ქართველ მოთამაშეს - **გიორგი ფანცულაიას** (72-ე წუთზე) და **ბაჩანა არაბულს** (76-ე წუთზე) ყვითელი ბარათი სიმულაციისთვის აჩვენა – ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ცნობილი.

ობიექტურად კი არანაირი სიმულაცია არ ჩანდა და მსაჯის გადაწყვეტილებამ გაოცება გამოიწვია. კითხვებიც




დავით უბილავამ (მარცხნივ) და გურამ სამუშიამ ფრანგებთან მატჩს თვალი ტრიბუნიდან ადევნეს

ფოტო: gff.ge



ზვიად სიჭინავა

გაჩნდა: ორივე ფეხბურთელი ნაკრების წამყვანი ძალაა და ეს ხომ არ იყო იმის „შერბილებული" ვარიანტი, რაც ჩვენს 19-წლამდელებს ბელგიაში გადახდათ?

*"ანალოგიური კითხვა ჩვენც დაგვებადა და ამის შესახებ ვილაპარაკეთ. თუმცა, შემდეგ დეტალურად რომ განვიხილეთ, გვითხრეს - ფანცულაიასა და არაბულს ყვითელი ბარათები არა სიმულაციისთვის, არამედ, მსაჯთან შეკამათებისთვის აჩვენეს. ერთ-ერთი მათგანი ოთხჯერ წააქციეს და ჯარიმა რომ არ დანიშნა, მსაჯს ხმამაღლა მიმართა. მაგრამ ესეც გასათვალისწინებელია და იმედია, შემდეგ შეხვედრაში ასეთ შეცდომებს გამოვრიცხავთ"* – უთხრა "ლელოს" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ზვიად სიჭინავამ.**

საქართველო-სერბეთის შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი „მე-9 არხზე" დღეს, 19.30 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. დინამო საპასუხო მატჩის წინ

23.07.13. ტორსჰავნი. ტორსვოლური. 22:00
**სტრეიმური-დინამო (თბ)**
ფარერები საქართველო
პირველი მატჩი - 1:6

# გამარჯვება დღესაც აუცილებელია

დღეს, თბილისის "დინამო" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩს გამართავს. მართალია, საქართველოს ჩემპიონმა ფარერული "სტრეიმურის" 6:1 განადგურებით ორმატჩიანი დაპირისპირების ბედი სათავისოდ უკვე გადაწყვიტა, მაგრამ "დინამო" კუნძულზეც გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ეს მესამე რაუნდის წინ დადებითად იმოქმედებს როგორც ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ასევე ქართული საკლუბო ფეხბურთის რეიტინგზეც.

"დინამო" ფარერებზე ჩარტერული ავიარეისით გაემგზავრა. გუნდის ჩეხმა თავკაცმა **დუშან უჰრინმა** იქ 18 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა;**

მცველები: **გივი კვარაცხელია, დარკო გლიშიჩი, გიორგი სეთურიძე, უსტარიცი, დავით კვირკველია, დავით ხურცილავა, გიორგი გველესიანი;**

ნახევარმცველები: **ლევან ხმალაძე, ირაკლი ლექვთაძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი პაპავა, ელგუჯა გრიგალაშვილი;**

თავდამსხმელები: **ჩისკო, ჯაბა დვალი, დავით ხოჭოლავა, პატრიკ ვუო.**

"დინამოს" დააკლდება **ირაკლი ძარია**, რომელიც "სტრეიმურთან" თბილისურ მატჩში დაშავდა.

"დინამო" ტორსჰავნში დაბინავდა და სტადიონ "ტორსვულორზე" მატჩისწინა ვარჯიშიც გამართა. სწორედ ამ არენაზე დაუპირისპირდებიან დღეს გუნდები ერთმანეთს. შეხვედრა თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება და მას უელსელი **საიმონ ევანსი** განსჯის.

თბილისური კლუბის ვებგვერდზე ფეხბურთელთა მატჩისწინა კომენტარები გამოქვეყნდა.

**ირაკლი ლექვთაძე:** *"ადგილობრივი კლიმატი თამაშში თავისებურ კორექტივებს შეიტანს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი დიდი ანგარიშით გვაქვს მოგებული, გვსურს, საპასუხო შეხვედრაც გამარჯვებით დავასრულოთ".*

**გიორგი სეთურიძე:** *"ეს თამაშიც ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრად შეგვიძლია განვიხილოთ. მართალია, პირველი თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ, თუმცა საპასუხო მატჩის მოგებასაც ვეცდებით. ამხელა გზაზე ტყუილად არ მივდივართ".*

**ლევან ხმალაძე:** *"ოფიციალური თამაშია, თუმცა ეს მატჩი მომდევნო შეხვედრისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, სავარაუდოდ, ბუქარესტის "სტიაუას" წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. ძლიერი მეტოქეა, თუმცა ბოლომდე ვიბრძოლებთ და ამ ბარიერის გადალახვასაც ვეცდებით. ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში გვსურს".*

**ლევან ჯანეზაშვილი**



დინამო ფარერებზე გუშინ ივარჯიშა

ლეგიონერები

# ზოგი დამარცხდა, თადარიგში იყო

რუსეთის პრემიერლიგის მეორე ტურში მოსკოვის ცსკა-მ სამარის "კრილია სოვეტოვს" უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა. სტუმართა შემადგენლობაში **ალექსანდრე ამისულაშვილმა** და **გია გრიგალავამ** სრულად ითამაშეს.

უკრაინული პრემიერლიგის მეორე ტური ლუგანსკის "ზარიასა" და ზაპოროჟიეს "მეტალურგის" მატჩით დასრულდა. შეხვედრა უგოლო გამოდგა. **ჯაბა ლიპარტია** "ზარიას" თადარიგში იყო.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის პირველ ტურში დიუსელდორფის "ფორტუნამ" კოტბუსის "ენერგის" უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. **ლევან ყენიას** თამაშის საშუალება არ მიეცა. იგი "ფორტუნას" სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გია გრიგალავა (უკანა პლანზე)

გორგიაშვილი vs ზესტაფონი

# საქმე უკვე წარმოებაშია

**თორნიკე გორგიაშვილის** ამბავი ადრეც გაუწყეთ - „ზესტაფონის" 25 წლის ნახევარმცველი გუნდის სეზონისწინა სამზადისზე არ მივიდა და არც თურქულ შეკრებაზე გაჰყოლია ფეროელებს.

ამ საქმეს ასეთი გაგრძელება მოჰყვა: გორგიაშვილმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართა და „ზესტაფონთან" მოქმედი კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა. არაოფიციალური ინფორმაციით, კლუბს ფეხბურთელებისთვის სამი თვის ხელფასი არ ჰქონდა ჩარიცხული - აპრილი, მაისი და ივნისი. შევიტყვეთ ისიც, რომ „ზესტაფონმა" ფეხბურთელებს ჯერ აპრილის დავალიანება გაუსტუმრა, ახლახან კი ბოლო ორი თვის ხელფასიც დაურიგა. ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს ხანში ვაპირებთ „ზესტაფონის" ოფიციალური პოზიციის გარკვევას. ფიფას წესებით, თუ კლუბმა ერთი თვის ხელფასი მაინც არ მისცა ფეხბურთელს, მოთამაშეს აქვს უფლება, კონტარქტის განყვეტა მოითხოვოს. საკითხავი ისღა რჩება - „ზესტაფონმა" გორგიაშვილს ხელფასი არ გადაუხადა თუ ხელფასის გადახდა დაუგვიანდა - ანუ რა იურიდიული ფორმულირება ექნება ამ სადავო საკითხს.

ამ საქმესთან დაკავშირებით, 26 ივლისს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტის სხდომა გაიმართება და კომიტეტის წევრების გარდა მოდავე მხარეებსაც მიიწვევენ.

გორგიაშვილი სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელია, ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია სამჯერ და თუ თავისუფალი აგენტი გახდება, ცხადია, უფრო იოლად გადავა სხვა გუნდში.

ერთი სიტყვით, დაველოდოთ 26 ივლისს.

**დავით თავართქილაძე**



თორნიკე გორგიაშვილი

ინტერვიუ

# რატი წინამძღვრიშვილი: მინდა დავამტკიცო, რომ ფეხბურთის თამაში კიდევ შემიძლია

საჩხერის „ჩიხურა“ 25 ივლისს შვეიცარიულ „თუნს“ თბილისში უმასპინძლებს და ვინ იცის, იქნებ საქმე სათავისოდაც შეატრიალოს - ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში „თუნთან“ 0:2 წააგო, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შეიმცირა, მაგრამ ვინც ინტერნეტით უყურა ამ შეხვედრას, „ჩიხურა“ ამ დაპირისპირებაში აუტსაიდერს ნამდვილად არ ჰგავდა.

„ჩიხურა“ წინა სეზონის შემდეგ გადახალისდა, გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა რიგიანი შევსებაც მიიღო.

25 წლის რატი წინამძღვრიშვილი ცენტრფორვარდია, საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების გარდა, ეროვნულ გუნდშიც უთამაშია, როცა მწვრთნელი გაიოზ დარსაძე იყო.

წინამძღვრიშვილის კარიერა ისე ვერ წარიმართა, როგორიც მოლოდინი იყო, თუმცა მას ჯერ კიდევ აქვს დრო, რომ თავისი დაამტკიცოს.

რატის რამდენიმე კითხვა დავუსვით...



რატი წინამძღვრიშვილი (მარცხნივ)

**- შვეიცარიაში „ჩიხურას“ ძალიან ცუდად ნამდვილად არ უთამაშია და საგოლე მომენტებიც გქონდათ. ყველაზე უფრო, მაინც რის ხარჯზე გაჯობათ „თუნმა“?**

- ვფიქრობ, მაინც გამოცდილებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. „თუნმა“ გამოიყენა ჩვენი შეცდომები, ჩვენ კი მეტოქის ხარვეზები ვერ გამოვიყენეთ. თუ გადავხედავთ იმას, რომელმა გუნდმა რამდენჯერ დაარტყა კარში თუ კარის მიმართულებით, თითქმის თანაბარ მაჩვენებლებთან გვექნება საქმე. თამაშიც ისეთი იყო, ვერავინ იტყოდა, „თუნმა“ მეტოქე დაჯაბნაო. ისიცაა, რომ მეორე ტაიმში ჩვენ უფრო მხნედ გამოვიყურებოდით, „თუნი“ თითქოს დაიღალა.

**- საგოლე მომენტები შენც გქონდა...**

- მართალია. „თუნის“ მცველს ბურთი ფეხზე აექრა და მე მომივიდა, ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოვჩნდი, თუმცა ჩემი დარტყმული ძელს მოხვდა. ეს გოლი რომ გასულიყო, დარწმუნებული ვარ, არ წავაგებდით, მინიმუმ ფრეს მაინც მივაღწევდით. მატჩის ბოლოსკენაც მქონდა შანსი, თუმცა ისეთივე არა, როგორც პირველ ჯერზე - ცოტა არ იყოს, მახვილი კუთხიდან დავარტყი და მეკარემ მოიგერია.

**- „ჩიხურას“ როგორ შეეწყვე? ახალ გუნდში ადაპტაციას ხომ გარკვეული დრო სჭირდება...**

- „ჩიხურას“ თითქმის ყველა ფეხბურთელს მანამდეც ვიცნობდი და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა, ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა. „ზესტაფონთან“ შედარებით „ჩიხურაში“ კარგი სიტუაციაა.

**- ბოლო დროს „ზესტაფონის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩანდი. რა პირობით გამოგიშვეს ამ კლუბიდან?**

- „ზესტაფონთან“ კონტრაქტით კიდევ ექვსი თვე მრჩებოდა, მაგრამ ვთხოვე კლუბის ხელმძღვანელობას და გამომიშვეს.

**- საკუთარ თავს როგორ ატყობ, ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ხარ?**

- საუკეთესო ფორმაში ჯერ ნამდვილად არ ვარ, თუმცა რაც შეიძლება მალე მინდა დავამტკიცო, რომ ფეხბურთის თამაში კიდევ შემიძლია.

**- „ჩიხურას“ თუ შეუძლია „თუნის“ ბარიერის გადალახვა?**

- თუ ძალიან მოვინდომებთ, „თუნის“ დამარცხება შეუძლებელი არ იქნება. სწრაფი გოლი თუ გავიტანეთ, გამარჯვების მეტი შანსი გაგვიჩნდება. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, მაგრამ პირველ ტაიმში მაინც გავიტანეთ გოლი, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის - ამოცანის შესრულება გაგვიადვილდება.

**- საქართველოს ჩემპიონატში რა ამოცანისთვის იბრძოლებს „ჩიხურა“? წინა სეზონში გუნდი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა და თასის ფინალშიც გავიდა...**

- კარგი შემადგენლობა გვყავს და სიმპათიურ გუნდად ჩამოყალიბება შეგვიძლია, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ გვაკლია შეთამაშება. ერთი რამის თქმა ახლავე შეიძლება: „ჩიხურა“ ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება და სამეულში მოხვედრისთვის ვიბრძოლებთ.

**დავით თავართქილაძე**

ტორპედო



# მეორე შეკრება თურქეთში გაიმართება

თურქულ შეკრებაზე ტორპედო სასტუმრო Avrasya Hotel-ში იცხოვრებს

ქუთაისის "ტორპედო", რომელსაც ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე განცდილი მარცხის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის სტარტამდე პაუზა გაუჩნდა, კიდევ ერთ უცხოურ შეკრებას გაივლის.

იმერული კლუბი ხვალ თურქეთში გაემგზავრება და ქალაქ ნევშეჰირის სიახლოვეს დაბინავდება. "ტორპედო" იქ 3 აგვისტომდე გაჩერდება და სამ საკონტროლო მატჩს გამართავს. **ჟერარდ სარაგოსას** გუნდის მეტოქეები ჯერ არ გარკვეულა. ცნობილია, რომ "ტორპედო" 28 და 31 ივლისს და 2 აგვისტოს ითამაშებს.

შეგახსენებთ, ევროპის ლიგის დაწყებამდე ქუთაისელებმა შეკრება ავსტრიაში გაიარეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დაბრუნება

# ოვონიკოკო გაგრაში დაბრუნდა

**აბაიომი ოვონიკოკო** მომავალ სეზონს "გაგრაში" გაატარებს. ეს ინფორმაცია კლუბის წარმომადგენელმა **მიხეილ აფხაზავამ** მოგვაწოდა.

*"ოვონიკოკო ბელგიიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა. მისით დაინტერესებული იყო "ლოკერენი". ამ გუნდში საკონტროლო შეხვედრაში გოლიც გაიტანა და თითქოს, მისი დარჩენა გადაწყვეტილი იყო. სხვა უცხოური გუნდებიც ინვევდნენ. მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა ბესიკ ჩიხრაძემ "გაგრაში" დააბრუნა, რადგან მიაჩნია, რომ გარკვეული პერიოდი საქართველოში თამაშით ფორმას აღიდგენს და უცხოეთში დამკვიდრებას უფრო ადვილად მოახერხებს. სავარაუდოდ, ოვონიკოკოს გასხვისებას "გაგრა" იანვრის სატრანსფერო პერიოდში შეეცდება"* – გვითხრა აფხაზავამ.

მისი თქმით, კლუბს ასევე დაუბრუნდა მარჯვენა მცველი **ცოტნე ხარაბაძე**, რომელსაც უმაღლეს ლიგაში დებიუტი 15 წლის (!) ასაკში ჰქონდა, იყო **გიორგი დევდარიანის** ნაკრების წევრი და ერთ-ერთ უნიჭიერეს მცველად ითვლებოდა. მაგრამ ბოლო წელია დაიკარგა.

20 წლის ხარაბაძემ "გაგრაში" რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართა და მთავარმა მწვრთნელმა **ზვიად ჯელაძემ** მისი დატოვება გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ ხარაბაძე ამ გუნდის ღირსებას 2009-10 წლებშიც იცავდა.

**მერაბ მამულაშვილი**



აბაიომი ოვონიკოკო

დილა

# ისევ კვახაძის გარეშე



ლექსო კვახაძე

გუშინ, გორის „დილა“ დანიაში გაემგზავრა, 25 ივლისს „ოლბორგთან“ ევროპალიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში სათამაშოდ.

„დილამ“ დანიელებს თბილისში 3:0 მოუგო და მომდევნო ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი შეიქმნა. „ოლბორგთან“ პირველ შეხვედრაში არ უთამაშია „დილას“ კაპიტან **ლექსო კვახაძეს**, ვისაც ქუსლის ტრავმა აწუხებდა. იყო იმედი, რომ კვახაძე საპასუხო მატჩში შეძლებდა მოედანზე გასვლას, თუმცა ტრავმის ბოლომდე მკურნალობა არ მოხერხდა და „დილაც“ დანიაში კვახაძის გარეშე გაემგზავრა.

კვახაძე ცენტრალური მცველი გახლავთ, ამ პოზიციაზე კი „დილას“ კიდევ ჰყავს რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელი: **ოთარ ხიზანეიშვილი, მამუკა კობახიძე, გულვერდ თომაშვილი** - „ოლბორგთან“ პირველ შეხვედრაში დაცვის ცენტრს ისინი ამაგრებდნენ.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ლიგა აგვისტოს ბოლოდან

## გამარჯვებულები მიხეილ მესხზე გაირკვევა

ცნობილი გახდა, რომ პირველი ლიგის გათამაშება 25-26 აგვისტოს დაიწყება. "ლელო" წერდა, რომ პირველ ლიგაში ორი 14-გუნდიანი ჯგუფი შედგა. რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ, ორივე ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო ერთმანეთში გაარკვევს იმ ორ გუნდს, რომელიც 2014-15 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

დავადგინეთ, რომ ოთხგუნდიანი მინი-ტურნირი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და ერთ წრედ ჩატარდება.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

# ბათუმის დინამოს ახალი დირექტორი ეყოლება

## რატომ თქვა პეტრ დემინსკიმ უარი ქართულ კლუბზე?

**უახლოეს დღეებში, ბათუმის „დინამოს“ ახალი დირექტორი ეყოლება. შევიტყვეთ, რომ ეს პოსტი სულხან გოგიბერიძემ საკუთარი ნებით დატოვა. ეს ამბავი მასთან გადავამოწმეთ და ინფორმაცია დაგვიდასტურა:**

- დიახ, ასეა. ბათუმის "დინამო" დავტოვე და ძველებურად ბავშვებს მივხედავ. აჭარის ფეხბურთის ფედერაციისა და გუნდის ხელმძღვანელობის პარალელურად, 1996 წელს დაბადებულ ბავშვებს ვავარჯიშებდი, რომლებიც დასავლეთ ზონის ჩემპიონები გახდნენ.

**- აჭარის რეგიონალურ ფედერაციას ხომ ხელმძღვანელობთ?**

- დიახ, ამ ორგანიზაციაში დავრჩი.

**- გუნდის ახალი დირექტორი ვინ არის?**

- დროებით ამ მოვალეობას ჩემი მოადგილე იური ლორთქიფანიძე ასრულებს, მაგრამ მალე სხდომა გაიმართება და ახალ დირექტორს დანიშნავენ.

**- პოსტიდან რატომ წახვედით?**

- მივხვდი, რომ წასვლა აჯობებდა. არ მსურდა დაპირისპირების მონაწილე ვყოფილიყავი. ადრეც, როდესაც დირექტორი ვიყავი და ახლაც, როცა პოსტი დავტოვე, ერთი რამ მსურდა - ბათუმის "დინამოს" ქართულ ფეხბურთში საკუთარი ადგილი დაებრუნებინა. მაგრამ ჩვენს პატარა ქალაქში ამ თანამდებობისთვის ვინმესთან დაპირისპირების სურვილი არასოდეს მქონია.

მით უფრო, რომ წასვლა თავად ბევრად ადრე გადავწყვიტე - როდესაც უმაღლეს ლიგაში ადგილი მოვიპოვეთ, განცხადება დავწერე. მაშინ არ გამიშვეს, რადგან უკრაინელ ინვესტორებთან მოლაპარაკება დავიწყე და მთხოვეს, საქმე შუა გზაზე არ მიატოვოო.



ბათუმის დინამო ახალი დირექტორის მოლოდინშია

**- მაშინ კლუბი უარყოფდა "ლელოს" ინფორმაციას იმაზე, რომ ბათუმის "დინამოს" შეძენა ლვოვის "კარპატის" ყოფილ მეპატრონეს პეტრ დემინსკის სურდა...**

- თავად უკრაინელების სურვილი იყო, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე ინფორმაცია არ გაჟღერებულიყო.

**- დემინსკიმ გუნდის აყვანა რატომ აღარ ისურვა?**

- წარმოდგენა არ მაქვს. მე დირექტორობის ბოლო დღემდე ვთხოვდი, რომ ჩამოსულიყო და კლუბისთვის მიეხედა. მოკლედ, სწორედ ამ მოლაპარაკების გამო დავრჩი, თორემ ცხოვრებაში სკამს არ გამოვკიდებივარ და ახლა რატომ უნდა გავმხდარიყავი დაპირისპირების მიზეზი? თუ ჩემზე უკეთესად გაუძღვებიან საქმეს, ძალიანაც გამიხარდება. ბოლოს და ბოლოს, დირექტორად კი არ დავბადებულვარ, მაგრამ მეგონა, რომ გუნდისთვის კარგ საქმეებს გავაკეთებდი. სწორედ ამიტომ ჩამოვიყვანე კობა ჟორჟიკაშვილი და გელა შეყილაძე.

ეს საქმეები საჩქაროდ იყო მოსაგვარებელი, რომ უმწვრთნელოდ არ დავრჩენილიყავით და ა.შ. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ მთელი წლის ბიუჯეტი არ გაგვინიავებია, ახალ დირექტორს წლიური დაფინანსების ნაწილი დავუტოვეთ და ბევრი სხვა კლუბივით, დაფინანსებაზე ხვეწნა-მუდარა არ დასჭირდება.

■ ■ ■

შევიტყვეთ, რომ გუნდის დირექტორად ორი კანდიდატი განიხილება: პირველი ბათუმის და თბილისის "დინამოების" ყოფილი ფეხბურთელი, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის ექს-პრეზიდენტი **ვახტანგ ქორიძეა.** მეორე კანდიდატი ასევე ვეტერან მოთამაშეთა ჯგუფმა წარადგინა, სადაც გაერთიანდნენ **მალხაზ მახარაძე, ოთარ ფედიჩკინი, გია ცანავა და ირაკლი თორთლაძე.**

კომენტარისთვის ორივე მხარეს დავუკავშირდით:

**ვახტანგ ქორიძე:** „ჯერ არც ვიცი, რა მოხდება და გუნდს ვის ჩააბარებენ. ცოტა ხნის წინ, ბათუმში ვიყავი მურთაზ ხურცილავასთან, გელა კეტაშვილთან და დავით ქლიბაძესთან ერთად. საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. მხოლოდ ის ვიცი - თუ დამიძახებენ, სიამოვნებით წავალ. მაგრამ ადგილისთვის „ჭიდაობა“ ჩემს ხასიათში არ ზის. მთავარია, გუნდს ეშველოს და ქართულ ფეხბურთში თავისი ადგილი დაიბრუნოს. სირცხვილია, ასეთ საფეხბურთო და ფინანსურად ღონიერ რეგიონს უმაღლეს ლიგაში გუნდი რომ არ ჰყავს. "დინამოში" ვინც არ უნდა მივიდეს, მისი ამოცანა ამ პრობლემის მოგვარება იქნება.

■ ■ ■

მალხაზ მახარაძე: „ჩვენ ჯერ არც ვიცით, ვინ გახდება ახალი დირექტორი, მაგრამ თუ ოთარ ფედიჩკინი დაინიშნება, ჩვენს ჯგუფს აქვს გეგმა - როგორ ავაღორძინოთ ბათუმის „დინამო“. გუნდის შენება ინფრასტრუქტურით უნდა დაიწყოს. ეს იქნება ის საფუძველი, რომელიც ასეთი ტრადიციული გუნდის მომავალს განაპირობებს. ჩვენი გეგმა ხუთწლიანია და ითვალისწინებს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას, ინფრასტრუქტურის აშენებას და ბავშვთა ფეხბურთის წინ წამოწევას. ახლა გუნდის მატერიალური ბაზა ნულის ტოლია - ბათუმში ხი... სტადიონი და ბაზა არ დატოვეს. მაგრამ 2014 წელს უნდა დაიწყოს 12 ან 15-ათასიანი სტადიონის მშენებლობა, რომლისთვისაც ორი ადგილია შერჩეული, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიულიათ. კლუბის ბიუჯეტის ნაწილი ანგარიშზეა. მაგრამ გვსურს, დამატებითი თანხები მოვიზიდოთ, მოლაპარაკებები ძლიერ კომპანიებთან დავიწყეთ და სერიოზული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჯგუფის მოსვლის შემთხვევაში, გუნდს ფინანსური პრობლემები არ შეაწუხებს. სამარცხვინოა, რომ აჭარას უმაღლესში გუნდი არ ჰყავს - ეს პრობლემა პირველივე სეზონში უნდა მოვაგვაროთ და მერე არათუ ადგილის შესანარჩუნებლად, არამედ, ევროსაგზურებისთვის ვიბრძოლოთ.

ამას გარდა, თუ გუნდი ჩაგვაბარეს, გვსურს ჩამოვიყვანოთ შოთა ჭეიშვილი, რომლის ხელშიც გუნდმა საუკეთესო შედეგებს მიაღწია და ხვიჩა ქასრაშვილი – ისინი ტანდემში იმუშავებენ“.

ინტერვიუ

# ნიკა აფაქიძე: აქედან პირდაპირ უკრაინაში თამაში აბსურდია

**"ლელო" წერდა, რომ "ზუგდიდში" ცენტრალური მცველი ნიკა აფაქიძე დაბრუნდა. თუმცა მას ჯერ გუნდთან კონტრაქტი არ გაუფორმებია.**

**21 წლის მცველი, რომელსაც არაერთხელ უთამაშია საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში და დღესაც ახალგაზრდულის კანდიდატია, ივნისში პოლონეთის ჩემპიონატის კლუბში - ლოძის "ვიძევში" ისინჯებოდა, შემდეგ კი ბედი უკრაინაში მოსინჯა, მაგრამ საბოლოოდ, სამშობლოში დაბრუნდა.**

**აფაქიძეს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით:**

- ჯერ უკრაინაში ვიყავი წასული. პოლტავას "ვორსკლას" ფარმ-კლუბთან ერთად გავიარე შეკრება და "ოლექსანდრიასთან" და "უკრაგროკომთან" ამხანაგური მატჩებიც ვითამაშე.

ამ დროს დამიკავშირდა "ვიძევის" წარმომადგენელი. გაიგო, რომ თავისუფალი აგენტი ვიყავი, ჩემი დოსიე და მატჩების ვიდეოჩანაწერები ნახა და მწვრთნელს აჩვენა. მასაც მოვეწონე და შვიდი დღით სინჯებზე ჩასვლა შემომთავაზა. უარი ვუთხარი, რადგან უკრაინის ვარიანტი გარანტირებული მეგონა.

**- პოლონეთში ხომ მაინც წახვედი?**

- წავედი, რადგან გუნდის დირექტორი დამიკავშირდა. მითხრა - მხოლოდ სამედიცინო შემოწმებას გაივლი და პირდაპირ კონტრაქტს გააფორმებო. ხელშეკრულების პირობები ელექტრონული ფოსტით გამომიგზავნეს. მათ თავიდანვე ვუთხარი, რომ თუ ორ დღეში კონტრაქტს არ გავაფორმებდი, უკრაინაში დავბრუნდებოდი. ჩავედი ვარშავაში, სასტუმროში ორი დღე დავყავი, მწვრთნელს შევხვდი და თითქოს, ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. სამედიცინო შემოწმება უნდა გამევლო.

მეორე დღეს გუნდის დირექტორს ვკითხე - რა ხდება, ხელშეკრულებას როდის ვაფორმებთ-მეთქი. ორი ფეხბურთელი უნდა გავყიდოთ და სანამ ეს არ მოხდება, თანხა არ გვაქვს, შენ კი სწორედ მათ ადგილზე გვჭირდებიო.

ამან დამაბნია და გამაბრაზა. მათ ვუთხარი: ამას ვერ დავუცდი-მეთქი. დირექტორმა ჩემი გაჩერება სცადა: მწვრთნელს მოსწონხარ, მაგრამ ფინანსურ საკითხს მხოლოდ მე არ ვწყვეტ და იქნებ, არ იჩქარო, მათ გაყიდვას დაელოდეო.

**- ფული თუ არ ჰქონდათ, რატომ მიგიწვიეს?**

- მერე გავიგე, რომ "ვიძევის" ორ ცენტრალურ მცველს წასვლა სურდა, მაგრამ კლუბმა მათში დიდი თანხა მოითხოვა და ვერ გაყიდეს. უკრაინაში დავბრუნდი. მაგრამ "ვორსკლას" მთავარი მწვრთნელი სვისტუნი გაუშვეს, მის ნაცვლად კი საჩკო დანიშნეს, რომელიც არ მიცნობდა და აღარც მივსულვარ - აზრი არ ჰქონდა.

**- "ზუგდიდთან" კონტრაქტის გაფორმებას აპირებ?**

- ზუგდიდში ფინანსური პრობლემებია. თუ მოგვარდება, ალბათ, ზამთრამდე დავრჩები. აქ ჩამოსვლის დღიდან "ზუგდიდში" ვვარჯიშობ. ზამთარში უფრო კონკრეტულ ვარიანტებს ველოდები. "ვიძევის" მწვრთნელმა მითხრა, მომწონხარ და ყურადღებით დაგაკვირდებით, მომდევნო სატრანსფერო ფანჯრისთვის მაინც რომ ჩამოგიყვანოთო. დამაიმედეს უკრაინაშიც. ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმება ამიტომაც არ მსურს. ვნახოთ, რა იქნება.

ეს ყველაფერი მაინც კარგი გაკვეთილი იყო, რადგან დავინახე, რეალურად რა დონეზე ვარ მომზადებული და რა ნაკლი მაქვს: ახლა, "ზუგდიდიდან" უკრაინის პრემიერლიგის კლუბში გადასვლა და თამაში სრული აბსურდია – პირდაპირ ვამბობ, დონის მხრივ ისეთი სხვაობაა, რომ შეუჩვევლად და მოუმზადებლად იქ თამაში ძალიან ძნელია. მინიმუმ ექვსი თვე უნდა მოემზადო, იქაურ დატვირთვებს რომ შეეჩვიო. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პოლონეთისა და რომელიმე ევროპული ქვეყნის საშუალო დონის ჩემპიონატში თამაში უფრო ადვილია და მეტი შანსიც არის, ვიდრე უკრაინაში.

**- პოლონეთში უფრო დაბალი დონის კლუბებია?**

- არა, დონე პოლონეთშიც ძალიან კარგია. მაგრამ უკრაინაში გაცილებით დიდი ფიზიკური დატვირთვებია და ამ საკითხს უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ.

**- ქართული კლუბები არ გიწვევენ?**

- არავინ. მინდა, კარგად მოვემზადო და ზამთარში წავიდე. აქ თუ ვინმეს შენი დამატება სურს, ოთხ-ხუთწლიანზე ნაკლებ კონტრაქტს არ გთავაზობს, რაც მე არ მსურს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



ნიკა აფაქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# შჩესნი რჩება და იბრძვის



ვოიცეხ შჩესნი

2012/13 წლების სეზონში „არსენალის" შემადგენლობაში სამმა მეკარემ იასპარეზა. **ვოიცეხ შჩესნის** ტრავმის გამო „მეთოფეთა" კარს ჯერ **ვიტო მანონე** იცავდა, შემდეგ კი ამით **ლუკაშ ბაფიანსკიმ** ისარგებლა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა 23 წლის შჩესნი ჯანზე იყო, სასტარტოში მუდმივად ის იდგა. ახალგაზრდა პოლონელის მიმართ ცალკე გულშემატკივრებსა და ცალკე ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტებს პრეტენზიები დაუგროვდათ. ალბათ, ამის წყალობა იყო, რომ „არსენალს" არაერთი სახელოვანი მეკარის ტრანსფერი დაუკავშირეს. მაგალითად, **იკერ კასილიასის** (რეალი), **პეპე რეინას** (ლივერპული), **რენე ადლერისა** (ჰამბურგი) და **ჟულიო სეზარის** (ქუინზ პარკი). ჭორები ჭორებად და ჩრდილოლონდონელთა ძირითად კარის დარაჯად ისევ შჩესნი რჩება. პოლონელის თქმით, „ემირეიტსიდან" წასვლას ის იმ შემთხვევაშიც არ აპირებს, თუკი კლუბი მაღალი დონის კონკურენტს მოჰგვრის. პირიქით, მისთვის ეს დამატებითი მოტივაცია იქნება, რათა მეტი ივარჯიშოს. აი, რას ამბობს ფეხბურთელი:

*- იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მწვრთნელი კიდევ ერთ მეკარეს მოიყვანს, ჩემი მხრივ, რაც შემეძლება ყველაფერს გავაკეთებ, რათა ძირითადი შემადგენლობისთვის ვიბრძოლო. „არსენალი" ჩემს გულშია და აქედან წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. როდესაც ამას ვამბობ, ნამდვილად გააზრებული მაქვს ყველაფერი. კონკურენცია ფეხბურთში აუცილებელია. როდესაც ფაბიანსკი ფორმაში იყო, მასთან ბრძოლა ერთი სიამოვნება იყო. ამ პროცესით უზარმაზარი სარგებელი მივიღე. მძაფრ კონკურენციას ფეხბურთელზე მხოლოდ დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს. ჩემი თვითშეფასება არასოდეს ყოფილა დაბალი. ასე რომ, რაც უნდა მოხდეს, საქმისადმი ჩემი დამოკიდებულება არასოდეს შეიცვლება. დღესაც ასეა, ვარჯიშებზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და მინდა, ყოველთვის დარწმუნებული ვიყო, რომ კარგ ფორმაში ვიმყოფები. „არსენალში" ახალი მეკარის მოსვლაზე ლამის ყოველ წელს თავიდან იწყება ხოლმე ლაპარაკი. მწვრთნელს კი არაერთხელ დაუმტკიცებია ჩემთვის, რომ ჩემი სჯერა.*

ვარსკვლავი

# დაბრუნდება თუ არა ძველი ესიენი?

„გარდიანის" ჟურნალისტმა **დომინიკ ფაიფილდმა** „ჩელსის" განელ ნახევარმცველზე, 30 წლის **მიკაელ ესიენზე** საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, სადაც გაანალიზებულია ვეტერანი აფრიკელის პერსპექტივები „სტემფორდ ბრიჯზე". ვფიქრობთ, ამ მასალასთან გაცნობა არც ჩვენი მკითხველისთვის უნდა იყოს უინტერესო.

- ერთი შეხედვით მიკაელ ესიენი არ შეცვლილა. მისი ხმა ძველებურად მშვიდია, ყოველ სიტყვას ძველებურად მოსდევს ღიმილი და ეს ყოველთვის დადებითად მოქმედებს შენს განწყობაზე. მისი ძლიერი ფეხები და გამობერილი მკერდი კი დღემდე აშინებს მის მეტოქეებს. *„ჩემი სტილი არ შეცვლილა. ნებისმიერი, ვინც დამეჯახება, შეუძლია დარწმუნდეს, რომ ძველებურად ძლიერი ვარ,"* - აცხადებს ის.

ბრაზილიელმა **კლეიტონ სილვამ** ეს საკუთარ თავზე გამოცადა „სინგჰის ვარსკვლავების" რიგებში ასპარეზობისას. მას ალბათ დღემდე ერთნაირად აწუხებს ნატკენი ნეკნები და შელახული თავმოყვარეობა. თუმცა ბანგკოკში ამხანაგურ შეხვედრაში ვილაცის წაქცევა და პრემიერლიგაში საკუთარი დინამიკურობით სხვების გაოცება სულ სხვა რამეა. ოდესლაც შეუცვლელი მოთამაშის კარიერა მუხლის სამმა უმძიმესმა ტრავმამ გააფუჭა.

2012 წლის ზაფხულზე **რობერტო დი მატეო** აშკარად არ იყო დარწმუნებული მიკაელის პოტენციალში, როცა ის ერთწლიანი იჯარით „რეალში" გაუშვა, სადაც მას **ჟოზე მოურინიო** დახვდა. პორტუგალიელი მას დღემდე „შვილს" უწოდებს, ესიენმა კი წლების მერე პირველად დაარქვა მას „მამა". ჟოზესა და მიკაელის ურთიერთობები უკვე წლებია გრძელდება. ერთმანეთის გვერდით^ ისინი თავს უფრო მშვიდად გრძნობენ.

მიუხედავად ინგლისის ორგზის ჩემპიონის სახელისა, ახალ „ჩელსიში" ესიენს ხელახლა მოუწევს საკუთარი საჭიროების მტკიცება. არადა, შარშანდელ სეზონში „ჩელსის" ძალიან ხშირად სწორედ ნახევარდაცვის ცენტრში აკლდა ხალხი. ეს მაშინ, როცა მიკაელმა მადრიდელთა რიგებში მისთვის ჩვეული პოზიციის გარდა დაცვის ფლანგებზეც მოასწრო თამაში. მოურინიომ მასზე ბრძანა:

*- მიკაელი ბრწყინვალე ფეხბურთელია. ის ჩემი ერთგულია, „ჩელსის" ერთგულია, მადრიდის ერთგულიც არის. რაც მთავარია, ის კარგი ადამიანია და მასში ამ წუთას განსაკუთრებულ მოტივაციას ვხედავ. მადრიდში ის სათამაშოდ იმიტომ წავიდა, რომ ლონდონში სიტუაცია იყო რთული, თუმცა იქაც იპოვა ბედნიერება. ფორმაში შევიდა და ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალები და ესპანეთის თასის ფინალი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ყველამ იცის, რომ ის უკვე დიდი ხანია აღარ არის 20 წლის ყმაწვილი, მაგრამ მიკაელი ის ფეხბურთელია, რომელიც ახალგაზრდობას ალბათ ყველაზე მეტად გამოადგება, რადგან უზარმაზარ გამოცდილებას ფლობს. ის გუნდს აბალანსებს".*

## ყველაფერი რიგზეა

ფეხბურთელი აცხადებს, რომ მიუხედავად გაუთავებელი ტრავმებისა, მას წამითაც არ უფიქრია ფეხბურთიდან წასვლაზე.

*- მუხლები უკვე აღარ მაწუხებს. მსგავსი დაზიანებების შემდეგ ყოველთვის ძალიან რთულია სათამაშო რიტმის დაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ 8 თუ 9 ოპერაცია მაქვს გადატანილი, მოდუნება არასოდეს მიფიქრია. ყოველთვის თავიდან ვიწყებდი მუშაობას ძალების აღსადგენად. არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ ჩემზე, შეიძლება ზოგიერთმა ხაზიც გადამისვა, მაგრამ არასოდეს არაფრის შემშინებია. არასოდეს გამჩენია ეჭვი, ფეხბურთი უნდა მეთამაშა თუ არა. სადაც არ უნდა ვიყო ცუდ ხასიათზე ვერსად მნახავთ. სიამოვნებას ვიღებ ფიზიოთერაპევტთან ვიზიტის შემდეგაც კი. მათთანაც კი ვიღიმი. „ჩელსისთან" კონტრაქტში ორი წელი დამრჩა. რა მოხდება, ამის მერე ვნახავთ.*



მიკაელ ესიენისა და ჟოზე მოურინიოს ურთიერთობა 2005 წელს დაიწყო

ამბები

## ოცნებები სრულდება


ისაია ბრაუნი

„ვესტ ბრომვიჩი" „ჩელსის" საფეხბურთო ასოციაციის მიერ დადგენილი წესების გვერდის ავლით 16 წლის **ისაია ბრაუნის** ტრანსფერში სდებს ბრალს და სასამართლოს გზით ლონდონელებისგან 2 მილიონი ფუნტის გადახდას ითხოვს. ლონდონში თინეიჯერი ნახევარმცველის შესაძლო ტრანსფერზე ივლისის დასაწყისში დაიწყო ხმების აგორება. რაღაც მომენტში გარიგება თითქოს ჩაშლის პირასაც კი იდგა, მაგრამ კვირას ფეხბურთელმა საკუთარ „ტვიტერზე" დაწერა: *„შემიძლია ოფიციალურად დავადასტურო, რომ „ჩელსის" ფეხბურთელი ვარ. ოცნებები სრულდება"*. იმისთვის, რომ ისაიამ საკუთარი პოტენციალი ბოლომდე გამოავლინოს, ჯოჯოხეთურად ბევრი შრომა მართებს, რადგან თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ არც ერთ ინგლისურ კლუბში არ არის თავმოყრილი ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი. მათთან კონკურენციის გაძლება კი ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის.

## ევერტონი იელავიჩს ყიდის

„ევერტონმა" „რეინჯერსიდან" ნაყიდი 27 წლის ხორვატი თავდამსხმელი **ნიკიცა იელავიჩი** დიდი ამბით წარადგინა. ფეხბურთელმა სეზონი თითქმის მაღალ დონეზე დაიწყო, მაგრამ მერე უცბად მოეშვა და ერთ დღესაც **დევიდ მოიესმა** აღმოაჩინა, რომ შეგირდი მის კრიტერიუმებს ველარ აკმაყოფილებდა. შოტლანდიელის პასუხმა არ დააყოვნა. ბალკანელი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა, ძირითადში კი ადგილი ნიგერიელმა **ვიქტორ ანიჩებემ** დაიკავა. ხორვატისთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა არც **რობერტო მარტინესის** მოსვლის შემდეგ. პირიქით, ესპანელმა მწვრთნელმა „გუდისონ პარკზე" „უიგანიდან" **არუნა კონე** მიიყვანა. იელავიჩი სერიოზულად დაფიქრდა ლივერპულიდან წასვლაზე. „დეილი მეილის" ცნობით, ყველაზე რეალური ფეხბურთელის გერმანიაში, კონკრეტულად კი „ჰამბურგში" გადასვლაა, გერმანული მხარე ფეხბურთელში 7 მილიონ ევროს იხდის.

## პარასკევს ბერნარდი ლონდონში იქნება


ბერნარდი

ბრიტანული წყაროების თანახმად, „ატლეტიკო მინეიროსა" და ბრაზილიის ნაკრების 20 წლის განაპირა ნახევარმცველი **ბერნარდი** პარასკევს ლონდონში „არსენალის" ბაზაზე სამედიცინო შემოწმების გასავლელად და შემდგომ უკვე კონტრაქტზე ხელის მოსაწერად აპირებს ჩასვლას. „მეთოფეები" მას პირადი კონტრაქტის დეტალებზე უკვე მოურიგდნენ. ხელშეკრულება 5-წლიანი იქნება, ფეხბურთელი კი გადასახადების გასტუმრების შემდეგ სუფთად 3 მილიონ ფუნტს მიიღებს. შეგახსენებთ იმასაც, რომ ბერნარდის ყიდვას „არსენალის" გარდა „ტოტენჰემი", „შახტარი" და „პორტუ" ცდილობდნენ.

## ბოსინგვა თურქეთში მიდის

**ჟოზე ბოსინგვას** საფეხბურთო კარიერა უკანასკნელი 14 თვის განმავლობაში უცნაურად წარიმართა. 2012 წლის გაზაფხულზე ფეხბურთელმა „ჩელსისთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. თანაც წამყვანი უკანახაზელების ტრავმების გამო 30 წლის პორტუგალიელი ძირითადში იყო. ლონდონელებმა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვეს. ფეხბურთელმა სიტუაციის რადიკალურად შეცვლა არ ისურვა, ლონდონშივე დარჩა და „ქუინზ პარკთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. „რეინჯერებთან" ერთად კი მან ჩემპიონშიპში მოადინა ზღართანი. ახლა კი **ჰარი რედნაპის** გამო მას „ლოფტუს როუდზეც" აღარ დაედგომება. თურქული პრესის ცნობით, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ ვეტერანი „ტრაბზონსპორთან" გააფორმებს ხელშეკრულებას.


ჟოზე ბოსინგვა

## ჰალი ფრანგულ ბაზარს მიადგა

„ეკიპის" ცნობით, „ჰალ სიტიმ" უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქტიურად დაიწყო მუშაობა ფრანგულ სატრანსფერო ბაზარზე. მაგალითად ცნობილი გახდა, რომ „ლიონის" 27 წლის გარემარბმა **ჯიმი ბრიანმა** „ვეფხვების" წინადადების განხილვაზე უარი თქვა. ამის შემდეგ **სტივ ბრუსმა** ყურადღება „ევიანის" თავდამსხმელ **იანიკ საგბოზე** გადაიტანა. 25 წლის ივუარელს ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება, ახალზე ხელის მოწერას კი ის არ აპირებს. ლიგა ერთის კლუბი პრაქტიკულად იძულებულია, რომ აფრიკელის სატრანსფერო მოთხოვნას დათანხმდეს. „ჰალს" კომპენსაციის სახით 1 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, საგბო ინგლისს უახლოეს დღეებშივე ეწვევა.

## ბორინი წასვლაზე არ ფიქრობს

„ენფილდიდან" წასვლაზე არ ფიქრობს, - განაცხადა 22 წლის იტალიელის აგენტმა **მარკო დე მარკიმ** „ფუტბოლ იტალიასთვის" მიცემულ ინტერვიუში: *„ლაციოს" სპორტული დირექტორი იგლი ტარე ყოველთვის იყო ფაბიოს ნიჭის დამფასებელი, მაგრამ რომაელებთან კონტაქტი არ მქონია. გარწმუნებთ, ჩემი კლიენტი მხოლოდ და მხოლოდ „ლივერპულზეა" კონცენტრირებული, რათა თავდასხმის ხაზში გამართულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ კლუბზე ვლაპარაკობთ".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. VIII ტური

# ვეტერანების ტური

**ბოტაფოგო–ნაუტიკო 2:0**

**გოლები:** 1:0 ელიასი (49), 2:0 რენატო (78)

**სან პაულო–კრუზეირო 0:3**

**გოლები:** 0:1 ლუანი (51), 0:2 ლუანი (79), 0:3 ლუანი (82)

**კრისიუმა–გრემიო 2:1**

**გოლები:** 1:0 ველინგტონ პაულისტა (26), 1:1 ზე რობერტო (38), 2:1 მატეუს ფერაზი (75)

**გაძევება:** მატეუს ბიტეკო (25. გრემიო), ე. ვარგასი (54. გრემიო)

**ინტერნასიონ.–ფლამენგო 1:0**

**გოლი:** 1:0 ჟუანი (90)

**ატლ. პარანაენსე–კორინთიან. 1:1**

**გოლები:** 1:0 მარსელო (6), 1:1 პატო (25)

**სანტოსი–კორიტიბა 2:2**

**გოლები:** 1:0 ნეილტონი (20), 1:1 ალექსი (41), 2:1 სისერო (64), 2:2 ალექსი (88)

**ფლუმინენსე–ვასკო 1:3**

**გოლები:** 0:1 ჟუნინიო პერნამბუკანო (17), 0:2 ანდრე (46), 1:2 კარლინიოსი (56), 1:3 კ. ტენორიო (82)

**გაძევება:** ფრედი (25. ფლუმინენსე), დიგაო (75. ფლუმინენსე)

**გოიასი–პორტუგეზა 2:1**

**გოლები:** 0:1 ბრუნო მორაეში (40), 1:1 რენან ოლივეია (45), 2:1 რენან ოლივეირა (66)

**გაძევება:** უგო (86. გოიასი)

**ვიტორია–ბაია 0:0**

**ატლ. მინეირო–პონტე პრ.** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოტაფოგო | 8 | 5 | 1 | 2 | 12-7 | 16 |
| 2. კორიტიბა | 8 | 4 | 4 | 0 | 11-7 | 16 |
| 3. კრუზეირო | 8 | 4 | 3 | 1 | 18-7 | 15 |
| 4. ინტერნასიონ. | 8 | 4 | 3 | 1 | 17-12 | 15 |
| 5. ვიტორია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-8 | 14 |
| 6. ბაია | 9 | 3 | 4 | 2 | 8-9 | 13 |
| 7. სანტოსი | 8 | 3 | 3 | 2 | 12-9 | 12 |
| 8. გრემიო | 8 | 3 | 3 | 2 | 9-8 | 12 |
| 9. გოიასი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-10 | 12 |
| 10. ატლ. მინეირო | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 10 |
| 11. ვასკო და გამა | 8 | 3 | 1 | 4 | 11-15 | 10 |
| 12. კრისიუმა | 8 | 3 | 1 | 4 | 10-14 | 10 |
| 13. კორინთიანსი | 8 | 2 | 4 | 2 | 6-5 | 10 |
| 14. ფლუმინენსე | 8 | 3 | 0 | 5 | 12-13 | 9 |
| 15. ფლამენგო | 8 | 2 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| 16. სან პაულო | 9 | 2 | 2 | 5 | 11-13 | 8 |
| 17. პონტე პრეტა | 7 | 2 | 1 | 4 | 8-10 | 7 |
| 18. ატლ. პარან. | 8 | 1 | 4 | 3 | 13-15 | 7 |
| 19. პორტუგეზა | 8 | 1 | 4 | 3 | 8-12 | 7 |
| 20. ნაუტიკო | 8 | 1 | 1 | 6 | 4-16 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 - ბიანკუჩი (ვიტორია); 5 - ფორლანი (ინტერნასიონალი); 4 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე), ალექსი (კორიტიბა), ნეილტონი (სანტოსი), ლუანი (კრუზეირო), ვილიამი (პონტე პრეტა), ფერნანდაო (ბაია)

**ბრაზილიის ჩემპიონატში ლიდერი კიდევ ერთხელ შეიცვალა, თუმცა ამას უკვე შევეჩვიეთ - ტური არ გავა, „ბოტაფოგომ“ და „კორიტიბამ“ ადგილები რომ არ გაცვალონ. ამჯერად ქულები კურიტიბელებმა (ქალაქს სწორედ ასე ჰქვია) დაკარგეს და პირველ ადგილზე დაბრუნების საშუალება „ბოტაფოგოს“ მისცეს...**



ალექსმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა

**კლარენს ზეედორფის** გუნდმა ჩემპიონატის აუტსაიდერ „ნაუტიკოს“ უმასპინძლა და პირველ ტაიმში მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. „ბოტაფოგომ“ გოლი მხოლოდ მეორე ტაიმის დებიუტში გაიტანა - თავი ცვლილებაზე გამოსულმა **ელიასმა** გამოიჩინა, რომელიც გუნდის ახალწვეულია და მიმდინარე სეზონში ეს მისთვის პირველი გოლი იყო. შეხვედრის საბოლოო შედეგი კი 34 წლის **რენატო დირნეიმ** დააფიქსირა. „სევილიას“ ყოფილი ფეხბურთელი, ბრაზილიაში დაბრუნების შემდეგ, სერია A-ში 62-ე შეხვედრას ატარებდა და ამ პერიოდში მხოლოდ მეორე გოლი გაიტანა. საბოლოოდ, რიოში სენსაცია არ დაფიქსირდა და „ფოგომ“ დაგეგმილი სამი ქულა აიღო.

მართალია, „კორიტიბამ“ ვერ იმარჯვა და ამის გამო ერთპიროვნული ლიდერობაც დათმო, მაგრამ ამ გუნდის ქომაგები დიდად გულდაწყვეტილნი არ იქნებოდნენ, რადგან მათი გუნდი წაგებას ბოლო წუთებზე გადაურჩა, თანაც „კორიტიბას“ მეტოქე „სანტოსი“ იყო. მასპინძელთა მხრიდან მორიგი გოლი გაიტანა **ნეილტონმა** - 19 წლის თავდამსხმელის ანგარიშზე უკვე 4 ბურთია და ის გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. სამი გოლი აქვს გატანილი **სისეროს**, რომელიც გუნდიდან **ნეიმარის** წასვლის შემდეგ „სანტოსის“ ლიდერი გახდა. „კორიტიბიდან“ ორი გოლი ვეტერანმა **ალექსმა** გაიტანა. „ფენერბაჰჩეს“ ყოფილმა ნახევარმცველმა ჯერ **დეივიდის** გადაცემით ისარგებლა, ანგარიში კი 88-ე წუთზე **რობინიოს** პასის შემდეგ გაათანაბრა.

*„ალექსზე ახალი რა უნდა ვთქვა. ის ძალიან ჭკვიანია და თავისუფალ სივრცეს ყოველთვის ნახულობს. თუ გავითვალისწინებთ მის მონაცემებს, ტექნიკას და კლასს და იმას, რომ ქვეყანა ნეიმარმა და პაულინიომ დატოვეს, ალექსი, ჩემი აზრით, საუკეთესო ფეხბურთელია იმათგან, ვინც ბრაზილიაში თამაშობს,“* - განაცხადა „სანტოსის“ მწვრთნელმა **კლაუდინეი ოლივეირამ.**

## გრანდები კრიზისში

ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან „ფლუმინენსე“ და „სან პაულო“. ეს განსაკუთრებით „სან პაულოზე“ ითქმის. მართალია, ორივე გუნდმა ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო, მაგრამ ყველა ტურნირს თუ გავითვალისწინებთ, ბრაზილიის 6-გზის ჩემპიონის მარცხიანი სერია უკვე 6 მატჩია გრძელდება. გარდა ამისა, **პაულო აუტუორის** გუნდს ჩემპიონატში უკვე 7 მატჩია არ მოუგია (2 ფრე და 5 წაგება).

„სან პაულოს“ მორიგი მეტოქე „კრუზეირო“ იყო, რომელიც პირიქით, ძალიან კარგად ასპარეზობს. შედეგად, 0:3 აბსოლუტურად ლოგიკური შედეგია. სტუმართა მხრიდან ჰეთთრიქი **ლუანმა** შეასრულა - 24 წლის ფეხბურთელმა, ერთ შეხვედრაში სამი გოლის გატანა პირველად მოახერხა. ალსანიშნავია, რომ „კრუზეიროს“ მეტოქე ბოლოს 2004 წელს ჰყავდა დამარცხებული და ამ გამარჯვებით 17-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა (6 მატჩი ფრედ დასრულდა და 11 „სან პაულომ“ მოიგო).

ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა „ფლუმინენსეც“, ვინც რიო დე ჟანეიროს დერბიში დაეცა. მასპინძელთა მარცხი ორმა წითელმა ბარათმა განაპირობა - არბიტრმა 25-ე წუთზე **ფრედი**, 75-ეზე კი **დიგაო** გააძევა. ისე, ეს ამ გუნდების (ყველა ტურნირზე) 290-ე დაპირისპირება იყო და „ვასკომ“ 102-ე გამარჯვება მოიპოვა, 91 მატჩი ფრედ დასრულდა, 97 კი „ფლუმ“ მოიგო. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში „ფლუმინენსე“ გაცილებით უკეთესი გუნდია და ბრაზილიის ჩემპიონატიც ბოლო სამ წელიწადში ორჯერ აქვს მოგებული, ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა „ვასკო და გამამ“ სწორედ უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში მოიპოვა. თავად განსაჯეთ: ბრაზილიის ჩემპიონატში გამართული ბოლო 14 მატჩიდან „ვასკომ“ 5 მოიგო, 7 მატჩი ფრედ დასრულდა, ხოლო „ფლუმ“ მხოლოდ 2-ჯერ იმარჯვა.

ამ შეხვედრაში შესანიშნავად გაისარჯა **ჟუნინიო პერნამბუკანო**, რომელიც ამ სეზონში პირველ თამაშს ატარებდა. 38 წლის ნახევარმცველი, ვინც ბრაზილიაში „ნიუ იორკ რედ ბულსიდან“ დაბრუნდა, გოლის და საგოლე პასის ავტორი გახდა. ჟუნინიოს პასით კიევის „დინამოს“ და „ბორდოს“ ყოფილმა ფორვარდმა **ანდრემ** იხეირა, საბოლოო ანგარიში კი **კარლოს ტენორიომ** დააფიქსირა. ალსანიშნავია **კარლინიოსის** გოლიც - „ფლუს“ მარცხენა მცველმა ჩემპიონატში უკვე მესამე გოლი გაიტანა.

## სანამ ალექსი და სკოკო მოვლენ

გუშინ მოგახსენეთ, რომ „ინტერნასიონალი“ **ალექსით** და **იგნასიო სკოკოთი** გაძლიერდა. **დუნგას** ამ ფეხბურთელების გარეშეც საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, რომელიც ამჟამად მეოთხე ადგილს იკავებს. მორიგ ტურში „ინტერმა“ „ფლამენგოს“ უმასპინძლა და ბრაზილიის ყველაზე პოპულარული გუნდი მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. შეხვედრის ერთადერთი გოლი „ბაიერის“ და „რომას“ ყოფილმა მცველმა, 34 წლის **ჟუანმა**, მატჩის უკანასკნელ წუთზე გაიტანა. ამ მატჩში ცვლილებაზე გამოვიდა **ლეანდრო დამიაო**, რომლისთვისაც ეს შეხვედრა შესაძლოა „ინტერნასიონალის“ რიგებში ბოლოც კი იყოს. „ინტერს“ „ფლასთან“ შინ უკვე 11 წელია არ წაუგია და ამ პერიოდში პორტუ ალეგრის წარმომადგენლებმა მე-7 გამარჯვება მოიპოვეს.

წააგო „გრემიომ“, რომელსაც „ფლუმინენსეს“ მსგავსად ორი ფეხბურთელი გაუძევეს. სტუმართა მხრიდან გაიტანა 39 წლის **ზე რობერტომ**, ვისთვისაც ეს ამ სეზონში მეორე გოლი იყო.

„ატლეტიკო მინეიროს“ და „პონტე პრეტას“ თამაში კი გადაიდო, რადგან „ატლეტიკოს“ ოთხშაბათს (საქართველოს დროით ხუთშაბათს დილით) ლიბერტადორესის თასის ფინალის საპასუხო მატჩი ელის.

ინციდენტი

# არგენტინაში ბოკას ორი ქომაგი მოკლეს



შემთხვევის ადგილზე 100-მდე ვაზნის მასრა ალმოაჩინეს

ბუენოს აირესში, „სან ლორენსოს“ და „ბოკა ხუნიორსის“ მატჩის დაწყებამდე, ორივე გუნდის გულშემატკივრებს შორის შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი გარდაიცვალა. 33 წლის **მარსელო აუგუსტო კარნევალე** და 44 წლის **ანხელ მარტინ დიასი** ცეცხლსასროლი იარაღით მიღებული ჭრილობების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მათი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, დაჭრილია რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ზოგიერთის მდგომარეობა მძიმეა. ამ ტრაგედიის შემდეგ შეხვედრა, რა თქმა უნდა, აღარ გამართულა.

მოგეხსენებათ, არგენტინაში სეზონის წინა მოსამზადებელი პერიოდია, რომლის დროსაც ამხანაგური ტურნირები იმართება. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი გახლავთ „ზამთრის თასი“ (სამხრეთ ნახევარსფეროში ახლა ზამთარია), რომელშიც „სან ლორენსო“ და „ბოკა“ მონაწილეობენ. მიუხედავად თამაშის ამხანაგური ხასიათისა, „დიდი ხუთეულის“ („რივერი“, „ბოკა“, „რასინგი“, „ინდეპენდიენტე“, „სან ლორენსო“) გულშემატკივრებს ერთმანეთი იმდენად არ უყვართ, რომ ფიზიკური ანგარიშსწორების შანსს ხელიდან არ უშვებენ.

პოლიციის განცხადებით, დაკავებულია ერთი ადამიანი, რომელსაც 45-კალიბრიანი პისტოლეტი ალმოაჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ კონფლიქტის ადგილზე 90-მდე ვაზნის მასრა იპოვეს, საეჭვოა, დამნაშავე მხოლოდ ერთი პიროვნება ყოფილიყო.

არგენტინის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირაა დარჩენილი და ამ ინციდენტის გამო, ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩემპიონატის შეხვედრები სტუმარი გუნდის ქომაგების გარეშე გაიმართოს.

ამბები

## ბეტისი ბრაიან როდრიგესით გაძლიერდა

სევილიის „ბეტისმა“ შეტევის ხაზი ურუგვაელი **ბრაიან როდრიგესით** გააძლიერა. 26 წლის თავდამსხმელი ბოლოს ჩილეს „უაჩიპატოში“ თამაშობდა და ამ გუნდის რიგებში ჩატარებულ 63 შეხვედრაში 32 გოლიც გაიტანა. როდრიგესმა ანდალუსიურ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ბეტისმა“ კი ფეხბურთელზე უფლებების 50% შეიძინა და „უაჩიპატოს“ ერთი მილიონი ევრო გადაუხადა.

## ტრეზეგე სკოკოს შემცვლელად

**დავიდ ტრეზეგე** „ნიუელს ოლდ ბოისში“ გადავიდა. 35 წლის ფრანგმა ფორვარდმა, რომელმაც ბოლო ორი სეზონი „რივერ პლეიტში“ გაატარა, „ძველ ბიჭებთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრეზეგე „ნიუელსში“ **იგნასიო სკოკოს** შეცვლის, ვინც კარიერას ბრაზილიურ „ინტერნასიონალში“ გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონის დასრულების შემდეგ, „რივერ პლეიტის“ მწვრთნელმა **რამონ დიასმა** განაცხადა, რომ მას ტრეზეგე აღარ სჭირდებოდა და არგენტინაში დაბადებული ფორვარდი შეკრებაზე არ წაიყვანა. შარშანდელ სეზონში დავიდი ტრავმებმა გატანჯა, რის გამოც მან „ტორნეო ფინალში“ მხოლოდ 6-ჯერ ითამაშა და 2 გოლი გაიტანა.



დავიდ ტრეზეგე

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. რუდი ფიოლერი

# ბაიერნმა მთელი ბუნდესლიგა წნეხის ქვეშ მოაქცია!

## ჩვენ დორტმუნდმა წაგვართვა ფეხბურთელი, დორტმუნდს ბაიერნმა...

ლეგენდარულმა გერმანელმა თავდამსხმელმა რუდი ფიოლერმა, რომელიც ახლა ლევერკუზენის „ბაიერის“ სპორტული დირექტორია, გაზეთ „ბილდს“ საინტერესო ინტერვიუ მისცა, რომელშიც მიუნხენის „ბაიერნის“ შესაძლებლობებზე, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ სატრანსფერო ომზე და კიდევ არაერთ საკითხზე ისაუბრა.



ლევერკუზენის ბაიერის სპორტული დირექტორი რუდი ფიოლერი

**- ჰერ ფიოლერ, „ბაიერნმა“ და „დორტმუნდმა“ ამ ზაფხულს ტრანსფერებში ერთად 100 მილიონ ევროზე მეტი დახარჯეს. როგორ ფიქრობთ, უახლოეს წლებში ამ ორი გრანდის გარდა შეძლებს რომელიმე სხვა კლუბი გერმანიის ჩემპიონობას?**

- „ბაიერნის“ ჰეთ-თრიკიც რომ დავივიწყოთ, მიუნხენური კლუბი ბუნდესლიგაში ყველა სხვა კლუბზე გაცილებით მაღლა დგას როგორც სპორტული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. წარსულში არაერთხელ დავრწმუნდით, რომ ხანდახან „ბაიერნსაც“ აქვს ხოლმე სერიოზული ჩავარდნები, 2011 წელს კი ჩვენ მეორე ადგილზე გავედით და „ბაიერნს“ გავასწარით. მაგრამ „ბაიერნს“ ახლა უკვე ისეთი შემადგენლობა ჰყავს, როგორიც არასდროს ჰყოლია! აქ უკვე აღარაა საუბარი საუკეთესო თერთმეტ, ან საუკეთესო 15 ფეხბურთელზე - ხოსეპ გვარდიოლას განკარგულებაში 22 ერთმანეთზე უკეთესი მოთამაშეა. შესაბამისად, ეს სხვა გუნდებისთვის უმძიმეს წნეხს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარდაცვა იდეალურად იყო დაკომპლექტებული, ტიაგო ალკანტარა მაინც გადაიბირეს. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რაოდენ შორსაა წასული „ბაიერნი“. ეს უკვე სხვა კატეგორიაა...

**- და დორტმუნდის „ბორუსია“?**

- ის სომეხი ფეხბურთელი (ჰენრიხ მხითარიანი - რედ) მართლა ძალიან მაგარია. სხვათა შორის, ეგ ბიჭი ჩვენთვის სასურველი მოთამაშეების სიაშიც იყო, მაგრამ მერე ფასი ძალიან მოემატა. „ლევერკუზენი“ ასეთ ფეხბურთელს ვერ გასწვდებოდა. თუმცა ფული ციდან არც „დორტმუნდს“ ჩამოუვარდა - „ბორუსიამ“ ამ დონეს წლების მანძილზე გატარებული სწორი პოლიტიკით მიაღწია.

**- „დორტმუნდის“ ხელმძღვანელებმა მცველი სოკრატის პაპასტატოპულოსი თვალწინ აგწაპნეს და ცოტა ხნის წინ „ბორუსიაზე“ განაწყენებული იყავით. ახლაც გაბრაზებული ხართ?**

- იმ დღეს, როცა გავიგე, რომ სოკრატისი „დორტმუნდში“ გადადიოდა, მართლა მაგრად გავბრაზდი. თუმცა მერე „ბორუსიას“ სპორტულ დირექტორ მიხაელ ცორკს ვესაუბრე და ცოტა დავმშვიდდი. რას ვიზამთ, ფეხბურთი ბიზნესია და ასეთებიც ხდება. დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა ის, რომ ერთმა კლუბმა მეორეს ფეხბურთელი ცხვირწინ ააცალოს. სამაგიეროდ, „დორტმუნდს“ „ბაიერნმა“ წაართვა ფეხბურთელი - ვინ დამაჯერებს, რომ „ბორუსიას“ მარიო გიოტცეს დათმობა სურდა? ჩვენ კი ემირ სპაჰიჩის სახით მაინც მშვენიერი მცველი გადმოვიბირეთ და თანაც, თითქმის უფასოდ ჩავიგდეთ ხელში.

**- რამდენად აუცილებელია სატრანსფერო ორომტრიალში სითავხედე?**

- მთავარია მოთმინება და ნებისყოფა. ავიღოთ თუნდაც ანდრე შიურლეს მაგალითი. ლონდონის „ჩელსის“ ამ ფეხბურთელის თაობაზე გაცილებით ადრე შევუთანხმდით, მაგრამ ეს შეთანხმება არ გავახმაურეთ, რადგან ჯერ მისი შემცვლელი უნდა გვეპოვა. ვიპოვეთ კიდეც - ჰეონ მინ სონი.

**- როგორ ფიქრობთ, შიურლე „ჩელსის“ ვარსკვლავი გახდება, თუ მარკო მარინის ბედს გაიზიარებს?**

- ანდრე ფიზიკურად უფრო უნდა მოძლიერდეს. ბოლო დროს მას სწორედ ამას ვეუბნებოდი. თუ ამას მოახერხებს, ეს მის კარიერაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მჯერა, რომ შიურლე „ჩელსიში“ იმედებს გაამართლებს, რადგან თამამად ვიტყვი, რომ ასეთი შესაძლებლობების მქონე გარემარბი ბევრი არაა.

**- შიურლე უცხოეთში რომ წავიდა, ეს ფაქტორი გერმანიის ნაკრებში ხელს ხომ არ შეუშლის?**

- რა თქმა უნდა, არა! ხელი მას მხოლოდ იმ ფაქტორმა შეიძლება შეუშალოს, რომ დღესდღეობით გერმანიის ნაკრებს ძალიან ბევრი შესანიშნავი შემტევი ფეხბურთელი ჰყავს. არ მახსოვს, ბოლოს როდის ჰყავდა ბუნდესგუნდს ამდენი მაღალი დონის შემტევი ნახევარმცველი.

**- როგორ ფიქრობთ, შტეფან კისლინგს 2014 წლის მუნდიალზე წაიყვანენ?**

- თუ კისლინგი მომდევნო სეზონშიც ისე, ან დაახლოებით ისევე კარგად ითამაშებს, როგორც წინა სეზონში თამაშობდა, ლიოვს მისი განაცხადს მიღმა დატოვება ძალიან გაუჭირდება.

**- რას იტყვით მარიო გომესის ტრანსფერზე, რომელიც ფლორენციის „ფიორენტინაში“ გადავიდა?**

- ფლორენციელებს წლის დასაწყისში შტეფან კისლინგის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ პირველივე მცდელობაზე მტკიცე უარი ვუთხარით - კისლინგი არ იყიდება! მეტიც: ახლო მომავალში მას კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაველაპარაკებით. რაც შეეხება გომესს: ვფიქრობ, რომ მან ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო. მას მხოლოდ „ფიორენტინაში“ სურდა გადასვლა და ამიტომაც შეუყვარდათ ფლორენციელებს. თანაც, „ფიორენტინას“ საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავს, ხოლო ვინჩენცო მონტელა კი მშვენიერი მწვრთნელია. მე მონტელას ძალიან კარგად ვიცნობ - „რომაში“ ხომ ჩემი შეგირდი იყო.

**- „ლევერკუზენს“ დავუბრუნდეთ: როგორ ფიქრობთ, რატომ არაა „ბაიერი“ პოპულარული? მესამე ადგილზე გახვედით და თქვენს გუნდს მაინც ნაკლები ყურადღება ეთმობა...**

- მე თუ მკითხავთ, ბუნდესლიგაში მესამე ადგილის დაკავება უფრო რთულია, ვიდრე გერმანიის თასის მოგება. მიმაჩნია, რომ ბუნდესლიგის საბოლოო ცხრილი გაცილებით უკეთ ასახავს იმას, თუ რამდენად კარგი სეზონი ჩაატარა კლუბმა. ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტების ჩრდილში მოვექეცით, მაგრამ, ვგონებ, ყველა ხვდება, რას ნიშნავს გერმანიის ჩემპიონატში მესამე ადგილის დაკავება და „შალკეს“ 10 ქულით უკან ჩამოტოვება.

**- მომავალი სეზონიდან „ლევერკუზენის“ იმიჯზე სარეკლამო კომპანია იზრუნებს...**

- არა მგონია, გამართლებული იყოს დისკუსია იმის შესაებ, რომ „ლევერკუზენი“ არაპოპულარული კლუბია. ჩვენ ქარხნის გუნდი ვართ და ვამაყობთ ყველაფრით, რაც გაგვაჩნია. ქალაქი, „ბაიერის“ ქარხანა და კლუბი ერთმანეთთან იდეალურადაა იდენტიფიცირებული. მთავარიც ესაა.

ბაიერნი

# რობენი პეპით აღფრთოვანებულია

## ჰოლანდიელს კონკურენცია არ აშინებს



არიენ რობენი და ხოსეპ გვარდიოლა

„ბაიერნმა“ „ტელეკომის თასზე“ თავისი შესაძლებლობები ყველას უჩვენა - ახალი სეზონი ჯერ არ დაწყებულა და რეკორდმაისტერი ისევ ყველას შიშის ზარს სცემს. „ჰამბურგისა“ და „გლადბახის“ სახით **პეპ გვარდიოლას** ბიჭებმა ორი სერიოზული გუნდი გაანადგურეს და სეზონის სტარტს საუკეთესო ფორმითა და განწყობით ხვდებიან.

„რაღაც-რაღაცები შეიცვალა, ზოგიც მერე შეიცვლება. გვარდიოლას თავისი იდეები აქვს, რომლებითაც პირადად მე აღფრთოვანებული ვარ, - აცხადებს **არიენ რობენი** „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. - ტაქტიკური გადაადგილებებიც იქნება და რაც ყველაზე მთავარია, უკვე ვხვდები, რომ გვარდიოლას ფორმაციის „ბაიერნი“ კიდევ უფრო ძლიერი იქნება.“

29 წლის ჰოლანდიელი ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ **მარიო გიოტცესა და ტიაგო ალკანტარას** ტრანსფერების შემდეგ „ბაიერნს“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს: „ასეთ ძლიერ გუნდში მე მართლა პირველად ვთამაშობ,“ - ამბობს რობენი.

წინა სეზონის დასკვნით ფაზაში რობენი „ბაიერნის“ გმირი გახდა, რაშიც მას **ტონი კროოსის** ტრავმა დაეხმარა. ახლა კროოსიც გამოჯანმრთელდა და თანაც, ბავარიელებმა კიდევ ალკანტარა და გიოტცე იყიდეს, რაც ნახევარდაცვაში კონკურენციის კიდევ უფრო გამძაფრებას ნიშნავს, მაგრამ რობენს არ ეშინია: „თუ ჯანმრთელად ვიქნები და მაღალ დონეზე ვითამაშებ, დარწმუნებული ვარ, რომ ძირითადი შემადგენლობიდან არ ამოვვარდები. არა მგონია, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომამ მომინიოს,“ - დასძენს ჰოლანდიელი.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაბრწყინებით რობენმა უმძიმესი წნეხი მოიშორა და ფიქრობს, რომ წესით ახლა უფრო თავისუფლად და შესაბამისად, გაცილებით უკეთ ათამაშდება: „ბაიერნში“ ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც მინდოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დავნაყრდი“. ჩემპიონთა ლიგის შემდეგ მართლაც უდიდესი შვება ვიგრძენი, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მეტი ტიტულის მოგებაც მინდა. ახლა ყველა იმაზე ლაპარაკობს, ვინ გახდება ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი და კანდიდატებს შორის მეც მომიაზრებენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარს უკვე მივაღწიე.“

შეგახსენებთ, რომ არიენ რობენი „ბაიერნში“ 2009 წლიდან თამაშობს და ბავარიულ გრანდთან კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს.

მწვრთნელი



გუუს ჰიდინკმა ანჟის მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა

# ჰიდინკი ანჟიდან წავიდა

## რას აპირებს ჰოლანდიელი?

ჰოლანდიელმა სპეციალისტმა **გუუს ჰიდინკმა** ყველასათვის მოულოდნელად მახაჩყალის „ანჟის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა. ეს ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად დადასტურდა და ისიც გაირკვა, რომ ჰიდინკს „ანჟიში“ მისი ასისტენტი **რენე მოლენსტეენი** შეცვლის. გუშინვე გავრცელდა პირველი სპეკულაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა, 66 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი „ბარსელონაში“ დაინიშნოს.

„ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მინდა ყველას შევახსენო, რომ ყოველთვის ვამბობდი, როგორც კი შევატყობ, რომ „ანჟის“ ჩემს გარეშეც შეუძლია განვითარება, ჩემი მისია მახაჩკალაში მაშინვე დასრულდება-მეთქი, - ნათქვამია ჰიდინკის ოფიციალურ განცხადებაში, - ახლა სწორედ ასეთი მომენტი დადგა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კლუბს დიდი მომავალი აქვს.“

ჰიდინკის ხელში „ანჟი“ რუსეთის თასის ფინალში გავიდა და ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, რაც მახაჩკალური კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. ახალი სეზონის პირველი ორი შეხვედრის შემდეგ კი „ანჟიმ“ მხოლოდ ერთ ქულას მოუყარა თავი. გასულ პარასკევს, მოსკოვის „დინამოსთან“ 1:2-ზე წაგებულ მატჩში ჰიდინკმა მახაჩყალელთა კარში დანიშნული პენალტის გამო მეოთხე მსაჯს ხელი ჰკრა, რის გამოც 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

შეგახსენებთ, რომ გუუს ჰიდინკი „ანჟიში“ 2012 წლის თებერვალში დაინიშნა. გუშინ ესპანურმა მედიამ ჰიდინკის გვარი მყისვე „ბარსელონას“ დაუკავშირა. მართალია, კატალონიურ გრანდში ფავორიტი არგენტინელი **ხერარდო მარტინოა**, რომელიც „ბარსას“ შეფებს უკვე შეხვდა, მაგრამ გუშინდელი დღიდან გუუს ჰიდინკიც თავისუფალია, რამაც, შესაძლოა, მოვლენები შეცვალოს. უფრო დიდი შანსია, რომ ჰიდინკმა რომელიმე ნაკრები ჩაიბაროს - ოღონდ ისეთი, რომელიც მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# დიდ გუნდში დიდი მიზნებით



ფერნანდო ლორენტე

**„იუვენტუსი" ახალი სეზონისთვის ემზადება, ფეხბურთელები კი ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულნი. განსაკუთრებით ეს ახალწვეულებზე ითქმის, რომლებზეც დიდი ავანსებია გაცემული. ერთ-ერთი ახალწვეული 28 წლის ფერნანდო ლორენტეა, რომელმაც ბრიფინგი გამართა და საინტერესოდ ისაუბრა...**

## იუვენტუსი

რატომ ავირჩიე „იუვენტუსი"? - შეთავაზება მართლაც ბევრი მქონდა, მაგრამ არჩევანი ტურინულ გრანდზე შევაჩერე. მიზეზი მარტივი და გასაგებია: „იუვენტუსი" ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რომელიც პროგრესირებს და წლიდან წლამდე, უფრო მაღალ მიზნებს ისახავს. თუ აქამდე ტურინელთა სამიზნე სკუდეტო იყო, მომდევნო სეზონში ყველა ფრონტზე გვსურს პირველობა. ვფიქრობ, შემადგენლობით „იუვენტუსი" არც ერთ გრანდს არ ჩამორჩება. დიახ, ჩემი აზრით, „ვეკია სენიორა" არაფრით ჩამოუვარდება „რეალს", „ბარსელონას" და „ბაიერნს". ვიცი, ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ კრიტიკოსთა გასაჩუმებლად წინ მთელი სეზონი გვაქვს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ტურინელი გულშემატკივრები გავახაროთ.

## სერია A

„იუვენტუსის" ერთადერთი მიზანი სკუდეტოს შენარჩუნებაა, რისთვისაც თავდაუზოგავად ვიშრომებთ. ცნობილია, რომ მწვერვალზე დარჩენა უფრო რთულია, ვიდრე იქ ასვლა, ამიტომ, მოდუნება არც ერთი წუთით არ შეიძლება. მით უმეტეს, ძალიან ძლიერი კონკურენტები გვყავს, რომლებიც ყოველდღიურად ძლიერდებიან. „ნაპოლიმ", „რომამ" და „ფიორენტინამ" არაერთი ფეხბურთელი დაიმატეს, „მილანი" და „ინტერი" კი ტრადიციულად ძლიერები არიან. ვფიქრობ, სერია A-ში არნახულად დიდი კონკურენციაა და ამ მხრივ, იტალიაში თამაში ყველაზე საინტერესოა. ჩემი აზრით, სერია A ერთ სიმაღლეზე დგას ესპანეთის და ინგლისის ჩემპიონატებთან.

უფრო კონკრეტულად კონკურენტებზე საუბარი გამიჭირდება, რადგან სატრანსფერო ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა და აგვისტოს ბოლომდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. „ნაპოლი" ძლიერდება და ეს გუნდი აუცილებლად იბრძოლებს სკუდეტოსთვის. „მილანი" გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე გუნდია და ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. ვფიქრობ, კარგი გუნდი ეყოლება „რომას", რადგან რუდი გარსია შესანიშნავი სპეციალისტია.

## მიზანი

ბედნიერი ვიქნები თუ „იუვენტუსის" წარმატებებში წვლილს შევიტან და ამ უდიდესი გუნდის ისტორიაში კვალს დავტოვებ. მომდევნო სეზონში, სკუდეტოს, იტალიის თასს და ჩემპიონთა ლიგას ვუმიზნებთ - ასე იქნება ყოველთვის და იმედი მაქვს, თასები არ მოგვაკლდება. თითოეული ფეხბურთელის მიზანი დიდი გამარჯვებების მოპოვებაა და „იუვენტუსში" ამის შესანიშნავი შანსი მომეცა. ბილბაოში ჩემი გული დარჩა, მაგრამ ფაქტია, რომ „ატლეტიკთან" ამ სიმაღლეებს ვერ შევწვდებოდი. თუმცა, უპირველესი მიზანი მწვრთნელისთვის თავის მოწონება და „იუვეს" ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრებაა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

ინტერი



ლეონარდო და მასიმო მორატი

# მასიმო მორატი ლეონარდოს უხმობს

გახსოვთ ალბათ, საფრანგეთის ჩემპიონატის 35-ე ტურში, პსჟ-ს მორიგი შეხვედრის შემდეგ, კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** მატჩის არბიტრს ხელი ჰკრა, რის გამოც ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ დადგა დღის წესრიგში ლეოს პარიზში დარჩენა-არდარჩენის საკითხი და მალევე, მისი გათავისუფლება გადაწყდა. მართალია, ბრაზილიელს ფრანგებთან აგვისტოს ბოლომდე აკავშირებს ხელშეკრულება, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო საქმეს ჩამოშორებულია. მოკლედ, ლეონარდო უმუშევარია და წინადადებების მოლოდინშია.

„გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 43 წლის ბრაზილიელს „ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** დაუკავშირდა და მილანში დაბრუნება შესთავაზა. ავტორიტეტული გამოცემა გვაუწყებს, რომ ლეოს კვლავაც სპორტული დირექტორის პოსტს სთავაზობენ. წესით, ბრაზილიელმა მორატის წინადადება უნდა მიიღოს, რადგან პარიზში სწორედ „ინტერიდან" მოხვდა და ყოველთვის ამბობდა, რომ „ნერაძურიში" თავს შესანიშნავად გრძნობს. ჯერჯერობით, ლეოს კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა მორატიმ არ დამალა, რომ ყოფილ მწვრთნელთან თანამშრომლობის სურვილი აქვს.

პოზიცია

# ინსინიე: იუვენტუსში არასდროს გადავალ

## ცუნიგა: ბინძური იუვენტინო


ლორენცო ინსინიე ნეაპოლის დატოვებას არ აპირებს

მიუხედავად იმისა, რომ „ნაპოლიმ" **ედინსონ კავანი** გაყიდა, გუნდი მაინც ძლიერდება და დიდი ალბათობით, მომდევნო სეზონში კვლავაც სკუდეტოსთვის იბრძოლებს. მას შემდეგ, რაც ნეაპოლელებმა **ხოსე კალეხონი** იყიდეს და **გონსალო იგუაინს** შეუთანხმდნენ (ბოლო დროს, ეს საეჭვო გახდა), შეტევაში კონკურენცია გაიზარდა და ბევრის აზრით, **ლორენცო ინსინიეს** პოზიციები შეირყა. 22 წლის თავდამსხმელს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ამბიციების ნაკლებობას არც თვითონ უჩივის და ამიტომ, ბევრი მის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდა. ისიც კი ითქვა, რომ ინსინიეს გადაბირებით „იუვენტუსია" დაინტერესებული, სადაც არანაკლები კონკურენციაა. ამ თემაზე კომენტარი თავად ლორენცომ გააკეთა:

*„მე ნეაპოლელი ვარ და უდიდესი სურვილი მაქვს, რომ მთელი კარიერა მშობლიური ქალაქის გუნდში გავატარო. როგორც ყველა ნეაპოლელი, ბავშვობიდანვე 'ნაპოლის" ვქომაგობდი და ჩემთვის ამ გუნდში თამაში ახდენილი ოცნებაა. სულ რომ სამმაგი ხელფასი შემომთავაზონ, „იუვენტუსში" არასდროს გადავალ... არ მსურს, იმ გუნდთან ერთად დავბრუნდე ჩემს ქალაქში, რომელიც ნეაპოლელებს ყველაზე მეტად არ უყვართ. „იუვეში" ჩემი უამრავი მეგობარი თამაშობს, მაგრამ იქ წამსვლელი მაინც არ ვარ. და თუ მაინც მომიწევს „ნაპოლის" დატოვება, უცხოეთში წასვლას ვამჯობინებდი. ახალი ქვეყნის გაცნობა საინტერესო იქნებოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი „ნაპოლიში" თამაშია".*

## ბინძური იუვენტინო

„ნაპოლი"-"იუვენტუსის" თემა აქტუალური იყო **ხუან ცუნიგას** შემთხვევაშიც... საქმე იმაშია, რომ 27 წლის კოლუმბიელის გადაბირება ტურინულ გრანდს სურს და ნეაპოლელებმა კონკრეტული შეთავაზებაც მიიღეს. ჩრდილოელებმა სამხრეთელებს ცუნიგას სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შესთავაზეს, თუმცა მტკიცე უარი მიიღეს. ხუანს „ნაპოლისთან" მომდევნო ზაფხულს ეწურება კონტრაქტი და ნეაპოლელებმა ნახევარმცველს მყისვე შესთავაზეს ხელშეკრულების გახანგრძლივება. ბევრისთვის მოულოდნელად, ცუნიგამ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, რითაც მიანიშნა ყველას, რომ მომდევნო ზაფხულს ნეაპოლის დატოვებას აპირებს. არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტურინელები ცუნიგას „ნაპოლის" ზურგს უკან გაურიგდნენ და ერთი წლის თავზე, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზეს. მოკლედ, კოლუმბიელის უარი ასე აიხსნა და რა გასაკვირია, რომ ამ ფაქტმა ნეაპოლელ ტიფოზთა აღშფოთება გამოიწვია... ამ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*„რამდენიმე დღეა, სოციალური ქსელების მეშვეობით უამრავ შეტყობინებას ვიღებ, სადაც კარგს ვერაფერს ვკითხულობ. რატომღაც, მოღალატედ შემრაცხეს და ათასგვარ შეურაცხყოფას მაყენებენ. ბინძური იუვენტინო მიწოდეს და შემდეგ, ეს ფრაზა ყველამ აიტაცა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არანაირი წინასწარი შეთანხმება არ არსებობს და შესაბამისად, არც ჩემი „იუვენტუსში" გადაბარგებაა გადაწყვეტილი. „ნაპოლისთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის გახანგრძლივებაც ნებისმიერ დროს შეიძლება - ვერ ვხვდები, რა საჭიროა ამ ყველაფრის დაჩქარებული ტემპებით კეთება. იმედია, გულშემატკივრები შეწყვეტენ ჩემთვის უსაფუძვლო შეურაცხყოფას".*

## ომი სკუდეტოსთვის

ამასობაში, პრესასთან გასაუბრება „ნაპოლის" ერთ-ერთმა ლიდერმა **მარეკ ჰამშიკმა** განიზრახა და საინტერესო კომენტარი გააკეთა:

*„ნეაპოლიდან ჩემს შესაძლო აბარგებაზე ბევრი იწერება, თუმცა თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მომდევნო სეზონსაც „ნაპოლიში" გავატარებ. აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და არც ერთი მიზეზი არ მაქვს, რომ სხვაგან გადასვლაზე ვიფიქრო. გუნდი ძლიერდება და მიზნებიც უმაღლესი გვაქვს დასახული. იტალიის მოქმედ ჩემპიონს სკუდეტოსთვის ომს ვუცხადებთ და ვპირდებით ყველას, რომ ამ ომში თავს არ დავზოგავთ. ამასთან, არც ჩემპიონთა ლიგა უნდა დავივიწყოთ, ამ ტურნირში ასპარეზობა ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა".*

ბოლონია

# დიამანტი რჩება

კონფედერაციათა თასის დასრულების შემდეგ, პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ **ალესანდრო დიამანტი** „ბოლონიაში" აღარ გაჩერდება და კარიერას გაცილებით ამბიციურ გუნდში გააგრძელებს. ყველაზე ხშირად „იუვენტუსს" ასახელებდნენ, თუმცა იყო სხვა ვარიანტებიც. ამ თემაზე კომენტარი „ბოლონიას" პრეზიდენტმა **ალბანო გუარალდიმ** გააკეთა და აღნიშნა, რომ 30 წლის შემტევი არსად არ წავა:


ალესანდრო დიამანტი

*„სატრანსფერო ბაზარზე პროგნოზების კეთება რთული საქმეა, მაგრამ ალესანდრო დიამანტი რომ „ბოლონიაში" დარჩება, ამას წყალი არ გაუვა. გუნდი უკვე შეიკრიბა და მზადებას შეუდგა, დიამანტი კი ენთუზიაზმით არის აღსავსე და არსად წასვლას არ აპირებს. ეს ჩვენთვის სტიმულია ახალი ხელშეკრულება შევთავაზოთ და მისი სხვაგან გადასვლა საბოლოოდ გამოვრიცხოთ. მინდა დავამშვიდო გულშემატკივრები და ვთქვა, რომ ალესანდრო არსად არ წავა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი

# რონალდომ დუბლით დაიწყო, ანჩელოტიმ 6:0-ით

## ისკო პირველივე თამაშში კარგი იყო



კრიშტიანო რონალდომ პირველივე მატჩში გამოიჩინა თავი



კარლო ანჩელოტი თამაშით კმაყოფილი დარჩა

**კარლო ანჩელოტის** „რეალმა" სადებიუტო მატჩი „ნისლიან ალბიონზე" გამართა და ჩემპიონშიპის „ბორნმუთი" მისსავე მოედანზე 6:0 დაარბია. დუბლით დაიწყო **კრიშტიანო რონალდომ**, რომელმაც ამ სეზონში 70 გოლის გატანა დაისახა მიზნად.

ანჩელოტიმ ყველა ათამაშა, ვინც კი ინგლისში წაიყვანა, სათადარიგო გოლკიპერის, **ტომას მეხიასის** გარდა. შვებულება არ დასრულებიათ კონფედერაციათა თასზე მონაწილე **იკერ კასილიასს, სერხიო რამოსს** და **ალვარო არბელოას.** ტრავმის გამო კიდევ კარგა ხანს ვერ ითამაშებს **ჩაბი ალონსო**, ინგლისში არც **რაფაელ ვარანი** და **მარსელო** ყოფილან. საინტერესოა, იტალიელის სასტარტო შემადგენლობის გაცნობაც: კარში **დიეგო ლოპესი**, ფლანგის მცველები **დანიელ კარვახალი** და **ფაბიო კოენტრაო**, ცენტრში **პეპე** და **ნაჩო ფერნანდესი**. ნახევარმცველთა კვინტეტი ასეთი იყო: **სამი ხედირა, ლუკა მოდრიჩი, ისკო**, კრიშტიანო რონალდო და **მესუთ იოზილი**, ცენტრფორვარდად კი იტალიელმა **ქარიმ ბენზემა** გაამწესა. როგორც ხედავთ, ანჩელოტიმ სასტარტოში ორ ახალწვეულს გამოუძებნა ადგილი: კარვახალს და ისკოს. შესვენების შემდეგ იტალიელმა 11 ფეხბურთელი ჩართო ბრძოლაში.

22-ე წუთზე რონალდომ საკმაოდ შორი მანძილიდან შეასრულა საჯარიმო, თუმცა ეს უზადოდ გააკეთა და **დერილ ფლევენის** კარი აილო - 1:0. მეორე გოლი 41-ე წუთზე გავიდა, ისკოს შორეული პასი რონალდომ მცველ **ტომი ელპიკის** შეცდომის გამო მიილო და მეკარე ისევ დაამწუხრა - 2:0. ტაიმის ბოლოს ისკოს მოწოდებული კუთხურის შემდეგ საჯარიმოში ყველაზე სწრაფად ხედირამ იმოქმედა - 3:0. ისკო პირველ ტაიმში „რეალში" საუკეთესო იყო რონალდოსთან ერთად.

მეორე ტაიმში სულ სხვა გუნდი ვიხილეთ, შესვენების შემდეგ თამაში მხოლოდ ნაჩომ და კარვახალმა გააგრძელეს (67-ე წუთზე მათაც დატოვეს მოედანი, **ხორხე კასადო** და **ქუინი** შევიდნენ). II ტაიმი დაიწყეს **ხესუსმა, დავიდ მატეოსმა, დენის ჩერიშევმა, ანხელ დი მარიამ, გონსალო იგუაინმა, ასიერლ ილიარამენდიმ, კაზემირუმ, კაკამ** და **ალვარო მორატამ.**

მეოთხე გოლიც მალე გავიდა, მორატას ბრწყინვალე პასით კაპიტანი იგუაინი მეკარესთან პირისპირ დარჩა და, როგორც ამბობენ, „რეალის" მაისურით უკანასკნელი გოლი გაიტანა - 4:0.

ამის შემდეგ იმავე იგუაინს მეკარემ დუბლის შესრულება არ აცადა, ხოლო კაკას გასროლა ხარიხამ მოიგერია. მეხუთე გოლი მთლიანად დი მარიას ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო, რომელიც რამდენიმე მეტოქეს გასცდა და აულებელი დაურტყა ფლევენს - 5:0.

ბოლოსკენ კაზემირუმ და დი მარიამ კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ბრაზილიელის სადებიუტო გოლით დასრულდა - 6:0.

ალსანიშნავია, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - მართალია, პრესის წინაშე არ აქტიურობს, მაგრამ კარგად ჩანს, რომ „რეალის" სანწვრთნელო და სათამაშო პროცესშიც დიდ როლს თამაშობს **ზინედინ ზიდანი.** ანჩელოტის ასისტენტი ბორნმუთში მას სათადარიგოთა სკამზე გვერდში ეჯდა.

რაც შეეხება „ბორნმუთს" - ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის შესახებაც „რეალის" ფეხბურთელებს გაეგოთ, 35 წლის ვეტერანი **იან ჰარტია**, რომელიც მეორე ტაიმში გამოჩნდა. „ლიდსის" ყოფილ ვარსკვლავს 3 სეზონი ვალენსიურ „ლევანტეში" აქვს გატარებული. შემდეგი გაჩერება საფრანგეთია, ბენზემას ყოფილი გუნდი „ლიონი", რომელსაც „სამეფო კლუბი" ოთხშაბათს ეთამაშება.

### მატჩის შემდეგ

**კარლო ანჩელოტი:** *„პირველი მატჩი კარგი გამოგვივიდა. ჩვენი მიზანი კარგი ფეხბურთის თამაშია, რაც ხშირად გამოგვდიოდა, ხშირად კი - არა. თუმცა ეს წინასასეზონო მატჩისთვის ნორმალურია. კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდმა ბევრი იშრომა. მოსამატებელი ბევრია, მაგრამ ეს ლოგიკურიცაა გუნდისთვის, რომელმაც ერთი კვირაა, რაც ვარჯიში დაიწყო*

*მიხარია, რა შემართებით ითამაშეს გუნდის მნიშვნელოვანმა წევრებმა კრიშტიანო რონალდომ და მესუთ იოზილმა და როგორ კარგად აუბეს მხარი მათ ახალგაზრდებმა.*

*ისკო და იოზილი ერთად? დიახ, ეს ექსპერიმენტი იყო, თუმცა მიმაჩნია, რომ თუ ფეხბურთელი უმაღლესი კლასისაა, ორი ერთნაირი ტიპის მოთამაშის ერთად დაყენებასაც არაფერი უშლის ხელს. მთავარი და მნიშვნელოვანია, არ დაირღვეს ბალანსი შეტევასა და დაცვას შორის. ამ ბალანსის შენარჩუნება ყველაზე რთულია. ვფიქრობ, დრო და ვარჯიში გვჭირდება და ამ მხრივ პრობლემები აღარ გვექნება.*

*კრიშტიანო არის გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი. და ის ასეთად კიდევ დიდხანს დარჩება. ყველა კარგად იცნობს კრიშტიანოს შესაძლებლობებს, როცა ის კარგად თამაშობს, გუნდისთვის ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია.*

*გონსალო იგუაინი ძალიან კარგი ფორვარდია. ამ წუთისთვის ის „რეალის" ფეხბურთელია".*

**დანიელ კარვახალი:** *„მწვრთნელი ძალიან მშვიდი ადამიანია, ის თავდაჯერებას და ხალისს გვმატებს. „რეალი" ახალგაზრდული და ამბიციური გუნდია".*

**ასიერ ილიარამენდი:** *„გასახდელში ბიჭები ძალიან კარგად დამხვდნენ, ბედნიერი ვარ. მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ, ადაპტაციის პრობლემა არ მაქვს, რადგან ირგვლივ მხოლოდ კარგ ადამიანებს ვხედავ. რაც შეეხება მატჩს, პირველის კვალობაზე ძალიან კარგი გამოგვივიდა".*

● ბარსელონა



„ბარსას" ახალი საგარეო ფორმა

# მიუნხენში, ახალი ფორმით

24 ივლისს ძალიან საინტერესო ამხანაგური შეხვედრა გაიმართება, რომელიც გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური წყვილის რემატჩი იქნება. მიუნხენის „ბაიერნი" „ალიანს არენაზე" „ბარსელონას" უმასპინძლებს.

როგორც კატალონიური გრანდის ოფიციალური საიტი იუწყება, უმწვრთნელოდ დარჩენილი გუნდი ამ შეხვედრაში ახალი საგარეო ფორმით წარდგება, რომელიც სენიერას (კატალონიურ, არაგონულ, ვალენსიური დროშა) ზოლებშია გადაწყვეტილი.

„ბარსელონას" მარკეტინგული სამსახური ირწმუნება, რომ ეს ფორმა გულშემატკივართა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და მაღაზიებში სწრაფი ტემპით იყიდება. მაისურზე არის წარწერა, რომელიც „ბარსას" დევიზია - „მეს კე უნ კლუბი" (მეტი, ვიდრე კლუბი).

● სავარაუდო ტრანსფერი

# სევილიამ ლივერპულს აჯობა

## ანდალუსიელებმა ნეგრედოს შემცვლელი პარიზში ნახეს

როგორც ჩანს, ანდალუსიურმა „სევილიამ" აჯობა „ლივერპულს" და „პარი სენ-ჟერმენის" ფორვარდ **კევინ გამეიროს** გაიფორმებს. 26 წლის ფრანგი „სევილიაში" **ალვარო ნეგრედოს** ბუნებრივ შემცვლელად ესახებათ, რომელიც ახლახან „მანჩესტერ სიტიში" გადაბარგდა.

ნეგრედოსგან განსხვავებით, გამეირო ძვირი არ ღირს - პარიზელები მასში 10 მილიონ ევროს ითხოვენ. საქმე იმაშია, რომ **ედინსონ კავანის** დამატების შემდეგ (თანაც გუნდში ისევ რჩება **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**) ძნელი წარმოსადგენია, გამეიროს როლი **ლორან ბლანის** გუნდში.

კომპანია „პრო სოკერ 24-ის" ცნობით, ეს ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია და უახლოეს დღეებში ოფიციალურად გაფორმდება. სწორედ ეს კომპანია არის ფრანგი ფორვარდის წარმომადგენელი.

გასულ სეზონში ლიგა 1-ში კევინ გამეირომ 25 მატჩში 8 გოლი გაიტანა. ბევრი არ არის, თუმცა ალსანიშნავია, რომ სასტარტო შემადგენლობაში გამეირო მხოლოდ 7-ჯერ მოხვდა.სხვათა შორის, „სევილიას" ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდა მისი შეძენა.



კევინ გამეირო „სევილიაში" ითამაშებს

● ამბები



რობერტო სოლდადოს საკითხი ჰაერშია გამოკიდებული

## სოლდადოს ნაცვლად ორი

ჯერაც უცნობია, გააგრძელებს თუ არა კარიერას 27 წლის ფორვარდი **რობერტო სოლდადო** „ვალენსიაში". სანამ ეს გაირკვევა, „ვალენსიას" ხელმძღვანელობამ უკვე გადაწყვიტა - თუკი „ჯარისკაცი" წავა, მის მაგივრად ერთბაშად ორ ფორვარდს იყიდიან.

კლუბში თავდამსხმელების კრიზისია, გუნდიდან წავიდა **ნელსონ ვალდესიც.** ახლა „ვალენსიაში" ირიცხებიან **პაკო ალკასერი, ჟონასი** და სოლდადო, რაც ისედაც ცოტაა. სხვათა შორის, 3 ამხანაგურ მატჩში სწორედ წინა ხაზში უჭირდა „ვალენსიას" - „ღამურებმა" მხოლოდ ერთხელ გაიტანეს.

„ვალენსია" სოლდადოში იმდენს ითხოვს, რაც მისი გამოსასყიდი თანხაა - 30 მილიონ ევროს, „ტოტენჰემი" კი მზად არის, მასში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს. შეგახსენებთ, რომ 2010 წელს „ვალენსიამ" „ხეტაფეს" სოლდადოში 10 მილიონი ევრო გადაუხადა. „ვალენსია" დაინტერესებული იყო **კევინ გამეიროთი**, მაგრამ ფრანგი „სევილიას" დარჩება. „ვალენსიას" აინტერესებს „უიგანის" შემტევი **რუბენ როჩინა** და პორტუგალიელი **ელდერ პოშტიგა.**

## ადანი ელვებში მიდის

როგორც ჩანს, მადრიდის „რეალის" მეკარე **ანტონიო ადანი** ახალ სეზონშიც მადრიდში რჩება - ოღონდ, „რაიო ვალეკანოში". მეკარე **კარლო ანჩელოტის** გეგმებში საერთოდ არაა - იტალიელს **იკერ კასილიასი** და **დიეგო ლოპესიც** ჰყოფნის. მაშინ, როცა **ხესუსი** მესამე მეკარეობაზე თYანხმაა, ადანის ადგილი უბრალოდ არ რჩება. ამიტომაც მას სხვა კლუბებთან მოლაპარაკების უფლება მისცეს.

26 წლის გოლკიპერს მთელი კარიერა მხოლოდ „სამეფო კლუბში" აქვს გატარებული. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ასაკობრივი გუნდის წევრი იყო, ადანი ძირითად გუნდში ვერაფრით დამკვიდრდა - სულ 7 თამაში სამ სეზონში.

## ჟოზე იუნაიტედს: დაივიწყეთ რონალდო!

ლონდონის „ჩელსის" თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელ **დევიდ მოიესს** ურჩია, დაივიწყოს **კრიშტიანო რონალდო.** *„მე, რაც ვიცი ისაა, რომ „რეალი" იმდენად მდიდარი კლუბია, რომ რონალდოს გაყიდვა არ ესაჭიროება. ის იმდენად მდიდარიცაა, რომ ნებისმიერი ფანტასტიკური შეთავაზება გააბათილოს რონალდოს ტრანსფერზე. მე ძალიან კარგად ვიცი, რონალდოს უყვარს „მანჩესტერ იუნაიტედი", პრემიერლიგა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ „რეალში" დარჩენა სურს. ეს მხოლოდ მისი სურვილია, არც კონტრაქტი და არც ფული ამასთან კავშირში არაა".*

შეგახსენებთ, რომ ჟოზე მოურინიო ბოლო სამი სეზონი მადრიდის „რეალის" მწვრთნელი იყო, ხოლო რონალდო „რეალში" უკვე მეხუთე სეზონს იწყებს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. მსოფლიოს რეიტინგები

# სარეიტინგო უცნაურობები

## თავისუფლებს არა უშავთ, ბერძენ-რომაელებს კი რეიტინგი უჭირთ


დავით მარსაგიშვილი (მარჯვნივ)

ჭიდაობის მსგავსად, საკუთარ სპორტსმენთა რეიტინგებს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაც აქვეყნებს. ცხადია, არა იმ სიხშირით და თან მათთან არც ის დატვირთვა აქვს (მაგალითად, ეს არ მოქმედებს განთესვაზე და სხვა), მაგრამ ძალთა რეალურ ბალანსს მეტ-ნაკლებად მაინც ასახავს.

ჩვენებურთა პოზიციები ბევრად უფრო მყარია თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც თავ-თავიანთ წონებს ორი ქართველი ლიდერობს – **გიორგი ედიშერაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84). ედიშერაშვილს ფრიად წაადგა მარტში თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება და დიდწილად ამის ხარჯზე გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ ჩრდილოკორეელ მსოფლიოს ექსჩემპიონ **კიონგ იანგს**, ვინც წლეულს აზიის პირველობის ვიცე-ჩემპიონი გახდა. რეიტინგში მესამეა ბელარუსი **ვლადისლავ ანდრეევი**, ვისაც ედიშერაშვილმა თბილისში ევროფინალი მოუგო. მეოთხეა დიდწილად **ვლადიმერ მესტვირიშვილის** დაფრთიანებული ინდოელი, აზიის წლევანდელი გამარჯვებული **ამიტ კუმარი**, მეხუთე – ალი ალიევის ტურნირის მომგები დაღესტნელი **ისმაილ მუსუკაევი**.

მარსაგიშვილი სავსებით დამსახურებულად ლიდერობს 84 კილოგრამს, სადაც მეორე ადგილზე ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი, რუსთა ყაბარდოელი **ანზორ ურიშევია**, მესამეზე – ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, სომეხთა ნატურალიზებული დაღესტნელი **მუსა მურთაზალიევი**. გემახსოვრებათ – მარსაგიშვილმა ორივეს მოუგო ევროპირველობაზე, თუმცა დაღესტნელმა თუ მშვიდად გადაიტანა წაგება (მან ქვედა წონიდან ამოინაცვლა და პირველივე ტურნირზე ფინალში გასვლაც კი მისთვის წარმატებაა), ყაბარდოელმა და მისმა მწვრთნელმა **მაგომედ ჰუსეინოვმა** საპროტესტო მარშებით დარბაზში ქარიშხალი გამოიწვიეს. ამ წონაში ხუთეულში უკრაინელთა ოსი მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის წლევანდელი პირველობის კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალოსანი **იბრაგიმ ალდატოვი** და თურქი **ჰაკი ცეილანიც** შედიან.

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** 60 კილოგრამში მეორეა, რეიტინგს კი რუსთა ან უკვე სამგზის ევროპის ჩემპიონი, ტუვინი **ოპან სატი** ლიდერობს. მესამეზე ბულგარელი **ვლადიმირ დუბოვია** – ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, მეოთხე – კიდევ ერთი ჩრდილოკორეელი, აზიის ჩემპიონი **რიონგ-ჰაკ ჰვანგი**, მეხუთე – ყაზახი **დაულეტ ნიაზბეკოვი**.

დანარჩენი წონებიდან სხვებზე უკეთეს მდგომარეობაში 120 კილოგრამში ვართ, სადაც **გენო პეტრიაშვილი** მეოთხეა. რეიტინგის 15-ეულში ყველაზე მეტი მონაწილეც ამ წონაში გვყავს – ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **დავით მოძმანაშვილი** ზუსტად მე-10-ეა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **გიორგი საკანდელიძე** კი მას ერთი ადგილით ჩამორჩება.

ამ წონის რეიტინგს თურქი **ტაჰა აკგული** ლიდერობს, ვინც ზედიზედ ორჯერ მოიგო ევროპის პირველობა. მეორეზე ევროპის წლევანდელი ვერცხლის მედალოსანი, უკრაინელთა კიდევ ერთი ოსი ფალავანი **ალან ზასეევია**, მესამეზე – აზერბაიჯანელთა დაღესტნელი მსოფლიოს და ევროპის მესამე პრიზიორი **ჯამალედდინ მაგომედოვი**. ეს ცოტა უცნაურია, რადგან პეტრიაშვილმა რამდენჯერმე მოუგო მაგომედოვს, თუმცა მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ ჩვენებური, ვინც ჯერ ისევ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდის, უფროსთა ტურნირებში შედარებით ცოტას ჭიდაობს. აქ რეიტინგის მეხუთე ნომერი პეტრიაშვილის მიერ ბოლო ხანებში უკვე ორჯერ ძლეული რუსთა დაღესტნელი ახალბედა, 20-წლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონი **მაგომედგაჯი ნურასილოვია**.

ცოტა უცნაურია რეიტინგი 96 კილოგრამშიც. უპირველესად იმით, რომ


გიორგი ედიშერაშვილი (მარჯვნივ)


გენო პეტრიაშვილი (მარჯვნივ)

პირველ ხუთეულში მხოლოდ რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლები შედიან. ცოტა გასაკვირია ისიც, რომ რეიტინგს იარიგინის ტურნირის მომგები და ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი, რუსთა ოსი **ვლადისლავ ბაიცაევი** ლიდერობს და არა უკრაინელი ევროპის ჩემპიონი **პავლო ოლეინიკი**, რომელიც მეორეა. მესამეზეა რუსთა დაღესტნელი ევროპის ექსგამარჯვებული **აბდუსალამ გადისოვი**, მეოთხე – ახლო წარსულში რუსთა სახელოვანი ოსი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის რამდენიმეგზის გამარჯვებული **ჰაჯიმურატ გაცალოვი**, მეხუთე – უკრაინელი **ვალერი ანდრეიცევი**, **ელიზბარ ოდიკაძე** კი მეექვსეა.

სამწუხაროდ, დანარჩენ წონით კატეგორიებში არც ისე კარგი მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად, 74 კილოგრამში 15-ეულში საერთოდ არავინ გვყავს, რაშიც დიდი როლი **დავით ხუციშვილის** ტრავმამ იმოქმედა; 66-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** მე-14-ეა და მასაც იტალიურ სასარიში, „დიდ პრიზზე" გამარჯვებამ უშველა. 66-ის რეიტინგს ევროპის წლევანდელი სომეხი ჩემპიონი **დავიდ საფარიანი** ლიდერობს, რომელსაც კვალში უდგანან თურქი ევროპის ვერცხლის მედალოსანი **იაკუპ გორი**, კონტინენტის მესამე პრიზიორი, რუსთა დაღესტნელი **ილიას ბეკბულატოვი**, მონღოლი **განზორიგ მანდაკნარანი** და თურქი **მუსტაფა კაია**.

თუ დააკვირდით, აქამდე ყველა წონას ევროპელები ლიდერობენ, 74 კი ერთადერთია, სადაც რეიტინგის სათავეში სხვა კონტინენტის წარმომადგენელია – ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი **ჯორდან ბაროუზი**. რუსთა ყაბარდოელი ევროპის გამარჯვებული **ანუარ გედუევი** მეორეა, თურქი **სონერ დემირტასი** – მესამე. ხუთეულში შედიან უნგრელი ევროპის ვერცხლის მედალოსანი **გაბორ ჰატოში** და უზბეკი **რაშიდ ყურბანოვი**.

ეს რეიტინგი გარკვეული ტურნირების შედეგებს კი ეფუძნება, მაგრამ მაინც გასაკვირია, რომ ხუთეულებში ვერც ერთი ირანელი ვერ მოხვდა. თვალშისაცემია იაპონელების, სამხრეთ კორეელების არყოფნა, ყაზახთა სიმცირე მაშინ, როცა მონღოლებს რამდენიმე წარმომადგენელი ჰყავთ.

„თავისუფლებში", ასე თუ ისე, დამაიმედებელი მდგომარეობა გვაქვს, ბერძნულ-რომაულში კი ბევრად მძიმე ვითარებაა – აქ შვიდ წონაში სამეულში მხოლოდ ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **რევაზ ნადარეიშვილი** (84) შედის. ის ზუსტად მესამეა, მეოთხე კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ გეგეშიძეა**. ფრიად უცნაურია, რომ ამ წონის რეიტინგს ლიდერობს არა რუსთა მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსეი მიშინი**, არამედ... თურქი **სელჩუკ ცები**. ეს ფაქტი უცნაურია იმდენად, რომ მიშინმა წლეულს ევროპის პირველობაც მოიგო და „ივან პოდუბნის სახელობის დიდი პრიზის მემორიალიც". ამის მიუხედავად, მაინც მეორეა, რეიტინგის მეხუთე ნომრად კი პოლონელი **დამიან იანიკოვსკი** მოგვევლინა.

84-ის გარდა, ჩვენი წარმომადგენლები მხოლოდ სამ წონაში შედიან – ევროპის მესამე პრიზიორი **გურამ ფერსელიძე** (120) მეექვსეა, **მამუკა ქაჯაია** (96) – მეშვიდე, კონტინენტის ვერცხლის მედალოსანი **ზურაბ დათუნაშვილი** (74) – მერვე. სამწუხაროდ, 55, 60 და 66 კილოგრამებში საუკეთესო 15-ეულში მონაწილე არ გვყავს. არადა, ამ წონებში ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი **რევაზ ლაშხი** (60) და ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** გვყავს, რომელმაც ტიტულების უმეტესობა 66-ში მოიპოვა.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# საუნგრეთოდ ემზადებიან

2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში, რომელსაც საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს, 1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელი ბიჭებიც იასპარეზებენ. ხელბურთის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე**) აქედანვე ზრუნავს თბილისური ბატალიებისთვის კონკურენტუნარიანი ნაკრების ჩამოყალიბებაზე. დასტურად ის შეჯიბრებებიც კმარა, რომლებშიც ახალგაზრდებმა უკვე იასპარეზეს. 15 აგვისტოდან ისინი თანატოლთა შორის უნგრეთის საერთაშორისო ტურნირში გამოსცდიან ძალებს. ბუდაპეშტში მთავარი პრიზისთვის 20 გუნდი იბრძოლებს. ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეებს 15 აგვისტოს წილისყრა გამოავლენს. მადიართა ქვეყანაში გამგზავრებამდე მწვრთნელებმა (**დიმიტრი აბესაძე, იმედო ფხაკაძე, გიორგი ქობელაშვილი**) საწვრთნელ შეკრებაზე 22 ხელბურთელს უხმეს. მათ ჯერ შეკვეთილში გაიარეს ორკვირიანი საერთო ფიზიკური მომზადება, შემდეგ ერთი კვირა ოზურგეთში ივარჯიშეს ევროპის ხელბურთის ფედერაციის სერბი ექსპერტის - **მილან პეტრონიჯევიჩის** ხელმძღვანელობით. ამჟამად ნაკრები თბილისში განაგრძობს წვრთნას, პირველი აგვისტოდან ერთი კვირა დუშეთში დაჰყოფს, სადაც საბოლოოდ გაირკვევა იმ 15 მოთამაშის ვინაობა, რომლებიც უნგრეთში გაემგზავრებიან.

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# ბარსელონაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე

ივლისის მიწურულს პლანეტის უძლიერესი მოცურავეები ბარსელონაში საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებმებიან. ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში **ზურაბ ხომასურიძისა** და **ირინა მინჟულინას** ხელმძღვანელობით **ირაკლი ბოლქვაძე** (200 მ ბრასი, 200 მ კომპლექსი), **დავით სიხარულიძე** (50 და 100 მ თავისუფალი ყაიდა), **თეონა ბოსტაშვილი** (50 და 100 მ ბრასი) მიიღებენ მონაწილეობას.

შარშან ახალგაზრდა მოცურავეთა ევროპის პირველობაზე ირაკლი ბოლქვაძემ 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სალიცენზიო ნორმატივიც შეასრულა, მერე ეს შედეგი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში განიმტკიცა და თან მსოფლიოზე ორი სპორტსმენიც გაიყოლა. კატალონიის დედაქალაქში პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **ირაკლი რევიშვილი** უნდა წასულიყო, მაგრამ ამასწინათ ის ავად გახდა და ბოლო მომენტში დავით სიხარულიძემ ჩაანაცვლა. როგორც მინჟულინამ გვაუწყა, ქართველი მოცურავეები ბარსელონურ ბატალიებში 31 ივლისიდან ჩაებმებიან.


ირაკლი ბოლქვაძე

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ფესტივალი




# თბილისში შეხვედრამდე!

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომლის ინიციატორი სოკ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი **ჟაკ როგი** გახლავთ, 22-წლიან ისტორიას ითვლის. საფუძველი მას 1991 წელს ბრიუსელში ჩაეყარა, მაგრამ მაშინ, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქართველ სპორტსმენებს არ უასპარეზიათ. 1993 წელს მე-2 ფესტივალი ჰოლანდიურ ვალკენსვაარდში გაიმართა. იქ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს დებიუტი ჰქონდათ. **ივერი ჯიქურაულმა** (ძიუდო) ვერცხლის მედალი მოიპოვა. მისი თანაგუნდელი **ლევან ციგრიაშვილი** მესამე იყო. მას შემდეგ 20 წელიწადი გავიდა და ქართველმა სპორტსმენებმა 10 ფესტივალზე 50 ჯილდო მოიხვეჭეს, მათ შორის - 43 ძიუდოისტებმა. კიმონოიანებმა ტრადიციას არც წლეულს უღალატეს: ორი ათეული წლის შემდეგ ისევ ტიტების ქვეყანაში - ამჯერად ჰოლანდიაში სიდიდით მესამე ქალაქ უტრეხტში გამართულ ოლიმპიურ ფესტივალში ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ერეკლე არხოზაშვილი** (55 კგ) და **გიორგი კაციაშვილი** (60) ავიდნენ. მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ **თამაზ კირაკოზაშვილი** (73), **იესო კვირიკაშვილი** (81) და **გიორგი ძებისაშვილი** (მძიმე წონა), ხოლო **მარიამ ჯანაშვილმა** (52) და **სიმონ მამარდაშვილმა** (66) მესამე ადგილები დაიკავეს.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას მე-8 სარეკორდო (აქამდე ჩვენს სპორტსმენებს ოლიმპიურ ფესტივალებში 8 მედალი არასდროს დაუმსახურებიათ) ჯილდო ჩოგბურთელებმა მოუტანეს. **ანა ახალკაცმა** და **მარიამ ბოლქვაძემ** წყვილებში ნახევარფინალური შეხვედრა ტურნირის რეიტინგფავორიტებთან - ვიქტორია კუზმოვასა და ტერეზა მიხალიკოვასთან (ორივე - სლოვაკეთი) დათმეს - 2:6, 3:6, სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის პაექრობაში ჩვენმა დუეტმა დარია კრუჟკოვასა და ტატიანა ნიკოლაევას (ორივე - რუსეთი) ტანდემს აჯობა - 7:5, 3:6, 11:9.

ტიტების ქვეყანაში სულ 49 ქვეყნის გოგო-ბიჭებმა იასპარეზეს. მათგან მედლები 38 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაიმსახურეს. ქართველებმა 8 მედლით გუნდური მე-13 ადგილი დაიკავეს. პირველობა არავის დაუთმეს რუსებმა - მათს ანგარიშზეა 56 მედალი (30 ოქრო, 14 ვერცხლი, 12 ბრინჯაო), მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ბრიტანელები (31=9+14+8) და ფრანგები (22=9+6+7) გავიდნენ. !! ქვეყანა უმედლოდ დარჩა (იხ. ცხრილი).

უტრეხტში ახალგაზრდების სპორტული დღესასწაულის საზეიმო დახურვისას ესტაფეტა თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** ჩაიბარა - 2015 წელს მსგავსი (რიგით მე-13) შეჯიბრება საქართველოს დედაქალაქში გაიმართება.

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 30 | 14 | 12 | 56 |
| 2. ბრიტანეთი | 9 | 14 | 8 | 31 |
| 3. საფრანგეთი | 9 | 6 | 7 | 22 |
| 4. უნგრეთი | 8 | 3 | 3 | 14 |
| 5. იტალია | 7 | 3 | 11 | 21 |
| 6. გერმანია | 5 | 8 | 3 | 16 |
| 7. ჰოლანდია | 4 | 7 | 9 | 20 |
| 8. თურქეთი | 4 | 2 | 7 | 13 |
| 9. პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 7 |
| 10. სლოვენია | 4 | 0 | 8 | 12 |
| 11. ესპანეთი | 3 | 4 | 11 | 18 |
| 12. რუმინეთი | 2 | 7 | 7 | 16 |
| 13. საქართველო | 2 | 3 | 3 | 8 |
| 14. ირლანდია | 2 | 2 | 1 | 5 |
| 15. შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 3 |
| 16. ისრაელი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 17. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 3 |
| 18. ბელგია | 1 | 4 | 2 | 7 |
| 19. ფინეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 20. ბელარუსი | 1 | 2 | 4 | 7 |
| 21. ჩეხეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| 22. დანია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 23. ჩერნოგორია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 23. ნორვეგია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 25. სერბეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 25. სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 27. ლიტვა | 1 | 0 | 2 | 3 |
| 27. შვედეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 29. კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 30. უკრაინა | 0 | 6 | 8 | 14 |
| 31. ხორვატია | 0 | 3 | 3 | 6 |
| 32. ავსტრია | 0 | 2 | 2 | 4 |
| 33. საბერძნეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 34. ესტონეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 35. ბოსნია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 35. მოლდოვა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 37. ბულგარეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 38. ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 39. ალბანეთი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. ანდორა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. სომხეთი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. მაკედონია | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. ისლანდია | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. ლიხტენშტეინი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. ლუქსემბურგი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. მალტა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. მონაკო | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. პორტუგალია | 0 | 0 | 0 | 0 |
| 39. სან მარინო | 0 | 0 | 0 | 0 |

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ჭადრაკი

# ქალები საათებს დღეს ჩართავენ

**სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დღეს იწყება მოჭადრაკე ქალთა ევროპის მე-14 ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც მედლებისთვის 35 ქვეყნის 168 წარმომადგენელი, მათ შორის - 81 დიდოსტატი იბრძოლებს.**

შეჯიბრებაში შვეიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდება. ასპარეზობის ფავორიტები არიან რეიტინგით მსოფლიოს პირველი ათეულის წევრები - ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2594), **ნანა ძაგნიძე** (2558), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2542), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2528), პია კრამლინგი (შვედეთი, 2524), ასევე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები - ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2497), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2489), ევროპის ჩემპიონები - ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2507) ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2497), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 2471), ეკატერინა ატალიკი (ევროპის საჭადრაკო კავშირის სახელით, 2430). ბელგრადში მრავალრიცხოვანი დესანტი გადასხეს ქართველებმა. სერბეთის დედაქალაქში ძაგნიძის მხარდამხარ იბრძოლებენ **ბელა ხოტენაშვილი** (2512), **ლელა ჯავახიშვილი** (2465), **ნინო ხურციძე** (2443), **სალომე მელია** (2428), **სოფიკო გურამიშვილი** (2421), **ნინო ბაციაშვილი** (2405), **მაია ლომინეიშვილი** (2351), **მაკა ფურცელაძე** (2349), **სოფიო გვეტაძე** (2341), **მერი არაბიძე** (2320), **მირანდა მიქაძე** (2314), **ანა გავაშელი** (2170), **სოფიო ნიკოლაძე** (2163), **მადონა ბოკუჩავა** (2109).

# მთავარი პრიზი პაიჭაძემ მოიპოვა

ფოთში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი - „ნანა ალექსანდრიას თასი 2013", რომელშიც 9 ქვეყნის 369 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მთავარ ტურნირში 9 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს **ლუკა პაიჭაძემ** და **ლევან ფანცულაიამ**. დამატებითი მაჩვენებლებით მთავარი პრიზი პაიჭაძემ დაიმსახურა, ფანცულაია მე-2 ადგილზე გავიდა. 6,5 ქულით მესამე იყო **გიგა ყუფარაძე**. ამდენივე ქულას მოუყარეს თავი ლევონ ბაბუჯიანმა (სომხეთი) და **დავით ზარქუამ**, რომლებსაც უარესი კოეფიციენტით მეოთხე-მეხუთე ადგილები ერგოთ.

ქალებში პირველი იყო ალექსანდრა ვახანია, რომელმაც 5,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულით, მაგრამ კოეფიციენტით მეორე ადგილზე აზერბაიჯანელი გუნაი მამადზადა გავიდა. 4,5 ქულით მესამე ადგილი **ანა შამათავას** ხვდა.

B ტურნირში პირველი-მესამე ადგილები ასე განაწილდა: 1. **სულხან სირბილაძე** (8 ქულა), 2. **გუგა ბურდული** (7), 3. მამიკონ მარტიროსიანი (სომხეთი, 7).

ფესტივალში 8-12 წლის მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ. ასაკების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: **დიანა ლომაია** და **გიორგი ჯიქია** (რვაწლიანებში), **თამარ ესაძე** და **მანი ჯაპედი** (ირანი) - ათწლიანებში, **ელენე კოსტავა** და **ნიკა ხვადაგიანი** - თორმეტწლიანებში.



ლუკა პაიჭაძე (შუაში)

კალათბურთი




# ბათუმი უმასპინძლებს

წლეულს 26 ივლისს ბათუმში 3X3-ზე კალათბურთში Euro Basketall Batumi 2013 გაიმართება. ამ შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აჭარის კალათბურთის ფედერაციასთან (პრეზიდენტი **კახა შენგელია**) ერთად. ასპარეზობა ფიბა-ს ეგიდით ტარდება.

საქართველოში ჩატარებული ქუჩის საკალათბურთო ტურნირების ისტორიაში პირველად ბათუმური პაექრობები გაიმართება სპეციალურ საფარზე, რომელსაც აჭარის დედაქალაქის ბულვარში საგანგებოდ დააგებენ. Batumi 2013-ის გამარჯვებული ფიბა-ს ევროტურნირის ლიცენზირებული შეჯიბრების საგზურს მიიღებს. ამ ასპარეზობას 11 აგვისტოს ესტონეთის დედაქალაქი ტალინი უმასპინძლებს.

U 18

# როცა ცხრა თორმეტს სჯობს

მაკედონიურ შტრუმიცეში 18-წლამდელ კალაბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის ბ დივიზიონში ჯგუფური ეტაპი დამთავრდა, რომელმაც უმაღლესი ეშელონის სამი საგზურისთვის მებრძოლი რვა გუნდი გამოავლინა (თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო). დანარჩენი 14 გუნდი IX-XXII ადგილებისთვის გაარკვევს ერთმანეთთან ურთიერთობას.

საქართველოს ნაკრები გუშინ ნორვეგიას დაუპირისპირდა.

**საქართველო-ნორვეგია 67:80**

**21:15, 20:19, 19:21, 7:25**

**საქართველო:** ბოლქვაძე (11), ლორთქიფანიძე (6), ქიტოშვილი (3), დვალი, ტომარაძე (5), რევაზიშვილი (8), ზაქრაძე (13), პულუზაშვილი (9), ნარჩომაშვილი, სანაძე (8), სამხარაძე (4). ლურწკაია.

**ნორვეგია:** ჰილაირი (3), ოლსტადი (21), ნიმო (2), კრივოკაპიჩი (6), მილსტადი (2), ბერგი (12), სკილაუგი (8), დოლვენი (24), სტოკმანი (2).

მიხეილ ბერუაშვილის შეგირდებმა ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი შემართებით დაიწყეს და პირველი მეოთხედი ექვსი ქულითაც მოიგეს, შესვენებამდე ქულათა სხვაობა შვიდამდე გაზარდეს. ბოლო ოც წუთში ცხრაკაცა მეტოქემ (ნორვეგიელებმა არასრული შემადგენლობით ითამაშეს) იყოჩაღა, თანაც როგორ: საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე ქართველები 3 ქულით წინ იყვნენ 63:60. დარჩენილ დროში ჩვენებურებმა მონაგარს მხოლოდ 4 ქულა შესძინეს, ნორვეგიელებმა - 20(!) და საბოლოოდ 80:67 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრები 25 ივლისს დანიას შეხვდება.

პირველი რაუნდის შემდეგ ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა:

**A ჯგუფი.** პოლონეთი - 8 (287:223), მაკედონია - 6 (259:250), უნგრეთი - 6 (240:282), ფინეთი - 5 (233:231), დანია - 5 (233:266).

**B ჯგუფი.** გერმანია - 9 (353:282), ჰოლანდია - 9 (335:290), ესტონეთი - 9 (346:301), ნორვეგია - 7 (303:325), ავსტრია - 6 (259:325), საქართველო - 5 (301:374).

**C ჯგუფი.** ისრაელი - 10 (452:275), შვედეთი - 9 (456:277), შვეიცარია - 8 (321:398), რუმინეთი - 7 (345:365), სლოვაკეთი - 6 (319:407), შოტლანდია - 5 (247:418).

**D ჯგუფი.** ჩერნოგორია - 8 (276:239), ბელგია - 7 (286:205), პორტუგალია - 6 (241:239), ბელარუსი - 5 (294:300), ლუქსემბურგი - 4 (217:331).

გვერდი მოამზადა
ვაჟა **დანელიამ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭიდაობა ჩვენი, ქართული

# საუკეთესო შიდა ქართლია

21 ივლისს გორის რაიონის სოფელ კარალეთში ნახერხმოყრილ სარბიელზე ქართული ჭიდაობის კიდევ ერთი მასშტაბური შეჯიბრება განუყრელი მუსიკის თანხლებით გაიმართა. ეს მორიგი ახალი არენაა, რომელიც ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი**) და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ერთობლივი პროექტით აშენდა. ეს სარბიელი გუშინ ჩატარებული საქართველოს გუნდური პირველობით (მთავარი მსაჯი **სპარტაკ ჯინორიძე,** მთავარი არბიტრი არენაზე ეროვნული კატეგორიის მსაჯი **გია ბერუაშვილი)** გაიხსნა. საასპარეზოდ შეიკრიბნენ შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, აჭარის, იმერეთის, თბილისის გუნდები. შიდა ქართლიდან ცალკე გამოვიდა ქარელის რაიონი. მოგეხსენებათ, ეს რეგიონი ტრადიციულად უამრავი სახელოვანი ფალავნითაა ცნობილი. ამიტომ იყო, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა შიდა ქართლელებს ორი გუნდით ასპარეზობის საშუალება მისცეს. თავდაპირველად მცხეთა-მთიანეთმა 3 : 2 სძლია იმერეთს. ქარელის რაიონმა და კახეთმა კი შესაბამისად თბილისსა და აჭარას ერთნაირი ანგარიშით - 5:0 აჯობეს. განსაკუთრებით კახელი ფალავნების გამარჯვებები იყო აღსანიშნავი, რადგან ხუთივე (60, 70, 80, 90, მძიმე) წონით კატეგორიაში მათ თითო წუთიც არ დასჭირვებიათ აჭარლებთან მოსაგებად. თუმცა მომდევნო ეტაპზე კახელებმა ასევე დიდი უპირატესობით, 1 : 4 წააგეს შიდა ქართლთან. უნდა აღინიშნოს **დავით კარბელაშვილის** (90 კგ) და ზვიად **ბაზანდარაშვილის** (70 კგ) ეფექტურად მოგებული შეხვედრები კახელ მოწინააღმდეგეებთან. იქვე ქარელმაც 4 : 1 მოუგო მცხეთა-მთიანეთის საკმაოდ ძლიერ გუნდს. მესამე ადგილისთვის კახელთა და მცხეთა-მთიანელთა ზედმიწევნით დაძაბულ დაპირისპირებაში გამარჯვებულის ბედი მძიმე წონაში **ბექა ბერძნიშვილის** მიერ **ბექა წყალობაშვილის** ძლევამ გადაწყვიტა - 3 : 2. შიდა ქართლის და ქარელის ფინალურ შეხვედრაში კი თავდაპირველად ქარელელები დაწინაურდნენ - 60 კგ-ში **ლაშა გიუნაშვილმა ოთარ არჩუაძეს** აჯობა. მაგრამ მომდევნო სამი შეხვედრა შიდა ქართლმა მოიგო და მძიმე წონაში ორთაბრძოლას მნიშვნელობა დაუკარგა, თუმცა აქ ქარელელმა **გიორგი ბოლოთაშვილმა გიორგი ნოზაძეს** მაინც მოუგო.



საბოლოოდ შიდაქართლელებმა 3 : 2 გაიმარჯვეს და ქვეყნის გუნდური პირველობა მოიგეს. აი მათი შემადგენლობაც: **პაატა მერებაშვილი, ანდრო ბერუაშვილი, ზვიად ბაზანდარაშვილი,** ოთარ არჩუაძე, **გიორგი პაპუნაშვილი, დავით კარბელაშვილი,** გიორგი ნოზაძე. ქარელელთა შემადგენლობა კი ასეთი იყო: ლაშა გიუნაშვილი, **ზვიად კაპანაძე, ზვიად ნოზაძე, კახა მამულაშვილი, პაატა ღვინიაშვილი,** გიორგი ბოლოთაშვილი. პირველ ადგილზე გასულ გუნდს ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო 2000 ლარი ერგო, მეორე ფინალისტმა კი 1500 ლარი მიიღო. 1000 ლარი ხვდა მესამე პრიზიორს. (მთავარი მსაჯი **სპარტაკ ჯინორიძე,** მთავარი არბიტრი არენაზე ეროვნული კატეგორიის მსაჯი **გია ბერუაშვილი).**

თუმცა ამ დღეს კარალეთში ჭიდაობა ამით არ დასრულებულა. მოგეხსენებათ, კარალეთი ოლიმპიური ჩემპიონის **ლაშა შავდათუაშვილის** მშობლიური სოფელია. ლაშა შეჯიბრებას თავადაც ესწრებოდა და ქვეყნის პირველობის შემდეგ სპეციალურად გამართულ აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულისათვის 500 ლარი პირადად დააწესა. აბსოლუტურში 12 მოჭიდავე ჩაერთო და პირველი ადგილი გიორგი ნოზაძემ მოიპოვა, რომელმაც ფინალში ონისე ბულაძე დაამარცხა.

მომდევნო კვირიდან ახალაშენებული დახურული საჭიდაო არენების გახსნის ესტაფეტა ქარელის რაიონში გადადის. შაბათს შეჯიბრებას ფალავნებით ცნობილი სოფელი ფცა უმასპინძლებს.

ასპარეზობის ორგანიზება ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მიერ მოხდა. შეჯიბრებას ესწრებოდნენ გორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **სოსო ვახტანგაშვილი,** მუნიპალიტეტის გამგებელი **პაპუნა კობერიძე,** ტიტულოვანი გორელი ფალავანი, ამჟამად პარლამენტის დეპუტატი **თემურ ხუბულური.**

**ვასილ ბალახაძე**
კარალეთიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

● ჩოგბურთი

# ანა ისევ ასეულშია

წინა კვირას სხვადასხვა ქვეყნის კორტებზე მოპოვებული სარეიტინგო ქულებით ზოგმა ქართველმა ჩოგბურთელმა კლასიფიკაციაში ადგილი გაიუმჯობესა, ზოგმაც - გაიუარესა. საგულისხმოა, რომ **ანა ტატიშვილი** ისევ დაუბრუნდა საუკეთესო ასეულს - 678 ქულით ამჟამად ის 95-ე საფეხურზეა.

95 (104). ანა ტატიშვილი (678), 228 (222). **სოფიო შაფათავა** (248), 310 (324). **ოქსანა კალაშნიკოვა** (151), 432 (426). **მაკა ჩახნაშვილი** (83), 495 (620). **ეკატერინე გორგოძე** (65), 577 (571). **სოფიო ქვაცაბაია** (47), 864 (848). **ნათია გეგია** (18). წყვილთა რეიტინგში ქართველთაგან საუკეთესოა კალაშნიკოვა - 1360 ქულით მას 66-ე ადგილი უკავია, 840 ქულით ტატიშვილი 102-ეა, ხოლო შაფათავა 276 ქულით - 238-ე.

ქართველი ჩოგბურთელები ამ კვირასაც რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ბაქოს საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) სამი ქართველი ასპარეზობს. საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ ჯერ თანამემამულე **თამარ ჭალაგანიძე** დაამარცხა - 6:0, 6:0, შემდეგ კი უკრაინის სახელით მოთამაშე ოლექსანდრა კორაშვილს სძლია - 6:2, 6:1. ძირითადი ბადის სტარტზე კვალიფიკაციიდან აღზევებულ ტერეზა მარტინცოვას (ჩეხეთი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა რუსეთელ მაია კაციტაძეს (6:2, 6:3) და ბელგიელ ისალინ ბონავენტურეს (6:2, 7:5) გადაულობა გზა. დღეს კალაშნიკოვა - მარტინცოვას შორის უძლიერესი ხვალ მე-5 ნომრად განთესილი კაროლინა პლისკოვას (ჩეხეთი) მძლეველ (7:5, 6:4) ტადეა მაურიჩთან (სლოვენია) გაარკვევს ურთიერთობას.

„ბაქოს თასის" ძირითად ბადეშია დაშვებული ანა ტატიშვილი. ასპარეზობის სტარტზე ჩვენებური დღეს იტალიელ ნასტასია ბარნეტს ეთამაშება. ქართველი ჩოგბურთელები წყვილებშიც მოსინჯავენ ძალებს. უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან შეამხანაგებული კალაშნიკოვა, რომელიც მე-2 ნომრადაა განთესილი, პირველ წრეში რუმინელი ალექსანდრა კატანდუს და ესპანელი ინეს ფერერ სუარესის დუეტს გაეპაექრება. ანა ტატიშვილი ვესნა დოლონწთან (სერბეთი) ერთად კამილა ფარნადსა (აზერბაიჯანი) და საბინა შარიპოვას (უზბეკეთი) გაეჯიბრება, ხოლო თამარ ჭალაგანიძე-ნაზრინ ჯაფაროვას (აზერბაიჯანი) დუეტი ილონა კრემენისა (ბელარუსი) და მარინა მელნიკოვას (რუსეთი) ტანდემს გაუწევს მეტოქეობას.


ანა ტატიშვილი

ასტანაში (ყაზახეთი) 100.000-იან ტურნირზე იმყოფება სოფიო შაფათავა. პირველსავე წრეში იგი მე-5 ნომერ კაგლა ბუიუკაკჩაის (თურქეთი) შეხვდება. წყვილებში ჩვენებური კსენია პალკინასთან (ყირგიზეთი) ერთად ცდიდა ძალებს, მაგრამ სტარტზევე ლუკსიკა კუმხუმსა და ტარინე ტანასუგარნთან (ტაილანდი) ვერაფერი გააწყო - 2:6, 3:6.

ყაზახეთის დედაქალაქის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) ჩაებმება **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** პირველ წრეში მისი მეტოქეა ჯეევან ნედუნჩეჟიინი (ინდოეთი).

თურქეთის 10.000-იან ვაჟთა ტურნირში საასპარეზოდ დარჩნენ ქართველი ჩოგბურთელები. **მიხეილ ხმიადაშვილმა** საკვალიფიკაციო ეტაპზე ზედიზედ სძლია მასპინძლებს - მერთ ალტინალევსა (6:0, 6:2) და არდა უზუმკუს (6:3, 7:6). ძირითადი ბადის სტარტზე კი რობერტ კომანს (რუმინეთი) შეხვდება. **ალექსანდრე მეტრეველმა** პირველ წრეში ჯეკ კარპენტერს (დიდი ბრიტანეთი) აჯობა - 6:3, 4:6, 6:1 და ალექს ლომბარტსა (პუერტო რიკო) და ბურკა კაკმაკს (თურქეთი) შორის უძლიერესს დაელოდება. რაც შეეხებათ **გიორგი ჯავახიშვილსა და გიორგი ცივაძეს,** მათ, შესაბამისად, მატიე როისა (საფრანგეთი, 6:7, 2:6) და ფინ ტეარნეისთან (ახალი ზელანდია, 2:6, 2:6) დათმეს ორთაბრძოლები. წყვილთა პაექრობის მე-2 წრეში გავიდნენ მეტრეველი და ცივაძე, რომლებმაც თურქები - მერთ ადანალი და მერთ ზირნკირლი დაამარცხეს - 6:2, 5:7, 10:3. მეოთხედფინალში ჩვენი ბიჭები მე-3 ნომრად განთესილ ალექს ლომბარტსა (პუერტო რიკო) და ფინ ტეარნეის (ახალი ზელანდია) დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**

● ძიუდო



კობა ნადირაძე (მარცხნივ)

# მკვლელობა დნეპროპეტროვსკში

10 ივლისს, საღამოს 20 საათზე დნეპროპეტროვსკში, „გმირ სტალინგრადელთა" ქუჩის 15 ნომერში მდებარე სახლის ერთ-ერთი სადარბაზოდან ზორბა აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა, ხელში სპორტული ჩანთით და აუჩქარებლად გაემართა იქვე მდგარი საკუთარი მანქანისკენ. საბარგული გახსნა, ჩანთა შიგ ჩადო და საჭისკენ მიტრიალდა, მაგრამ იქამდე მისვლა აღარ დასცალდა – დნეპროპეტროვსკის სიმყუდროვე ავტომატის გასროლამ შეაფორიაქა. როცა მამაკაცი საბარგულს კეტავდა, იმ დროს მას კამუფლიაჟში ჩაცმული ნიღბიანი პიროვნება მიუახლოვდა, რომელმაც მუცელში ესროლა. დაჭრილმა სადარბაზოსკენ გაქცევა მოახერხა, მაგრამ კილერი დაედევნა და რამდენიმე ტყვია კიდევ დაახალა. ბოლო გასროლა საკონტროლო აღმოჩნდა – თავში მოარტყა. მიღებული ჭრილობებისგან მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა. სროლის ხმაზე სახლიდან გამოცვენილ მეზობლებს ის სისხლის გუბეში მწოლიარე უკვე მკვდარი დახვდა. მოკლული უკრაინაში მცხოვრები ქართველი ძიუდოისტი, უკრაინის არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი, მსოფლიოს უნივერსიადის ბრინჯაოს მედალოსანი, ვეტერანთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **კობა ნადირაძე** აღმოჩნდა... როგორც მოგვიანებით გაირკვა, მკვლელმა საბარგულიდან მისი ჩანთაც ამოიღო და გაქცევისას თან გაიყოლა.

კობა ნადირაძე 90-იან წლებში გადავიდა უკრაინაში საცხოვრებლად, დნეპროპეტროვსკში დასახლდა და იქვე შეირთო უკრაინელი მეუღლე. **ილია ჩიმჩიურთან** ერთად ის წლების განმავლობაში იცავდა იქაური ნაკრების ღირსებას – ჯერ 95, შემდეგ კი 100 კილოგრამში. როგორც უკრაინული საააგენტო ru.golos.ua იუწყება, მას დიდ პატივს სცემდნენ სპორტულ წრეებში და ბოლო ხანებში მოზარდებს ავარჯიშებდა.

სამწუხაროდ, იქაური მედია მკვლელობის მოტივებზე ან გარდაცვლილის ბიზნესინტერესებზე (ჰქონდა თუ არა საერთოდ შეხება მასთან) არაფერს წერს. არც იმაზე იუწყებიან რამეს, სავარაუდოდ, რა იდო ჩანთაში. არადა, თუ ვივარაუდებთ, რომ ის ორომტრიალში, გაქცევისას მკვლელი საბარგულიდან მის ამოსაღებად საგანგებოდ შეჩერდა და იმ ექსტრემალურ ვითარებაში ეგზომ ძვირფასი წუთები დაუთმო ამას, მისი ფაქტორი არც ისე უმნიშვნელო უნდა იყოს. ზემოაღნიშნული სააგენტო მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ დნეპროპეტროვსკში გახშირდა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ბიზნესმენთა მკვლელობები, თან დასძენს, რომ პოლიციისთვის კილერის ვინაობა უკვე ცნობილია და არ გამორიცხავენ დაკვეთის ვერსიას.

კობა ნადირაძე ჯერ მხოლოდ 42 წლისა იყო.

**ირაკლი თავაძე**

● თარიღები და მოვლენები

## 23-25 ივლისი

**23. 07. 1939.** დაიბადა **ჯუმბერ ლეჟავა** - ველომოგზაური
**23. 07. 1954.** დაიბადა **ვახტანგ ბლაგიძე** - ბ\რ ჭიდაობა
**23. 07. 1956.** დაიბადა **თენგიზ სულაქველიძე** ფეხბურთი
**23. 07. 1971.** დაიბადა **გოჩა ჯამარაული** - ფეხბურთი
**23. 07. 1996.** თბილისის „დინამომ" ფეხბურთში თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში ლუქსემბურგში „გრევენმახერთან" 2:2 ითამაშა (პირველი შეხვედრა „დინამომ" 4:0 მოიგო)
**24. 07. 1937.** თბილისის „დინამომ" პირველი საერთაშორისო შეხვედრა გამართა. თბილისში ბასკეთის ნაკრებმა ჩვენს ფეხბურთელებს 2:0 მოუგო
**24. 07. 1984.** 1984. რამაზ შენგელიამ საკავშირო პირველობების უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამოს" მე-2000 გოლი გაიტანა. საიუბილეო ბურთი **შენგელიამ** თბილისში, ვილნიუსის „ჟალგირისის" კარში გაიტანა
**24. 07. 2010.** ჩოგბურთი. ხარკოვის საერთაშორისო ტურნირი მოიგო **თათია მიქაძემ**
**24. 07. 2011. ოლიმპიზმი.** ტრაბზონში გაიხსნა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, საქართველო 22 სპორტსმენით წარსდგა. **თორნიკე შენგელია** ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა
**24. 07. 2012.** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო მატჩში „ზესტაფონი" შინ 2:2 დაუზავდა „ნეფთჩის" და ასპარეზობას გამოეთიშა
**24-25. 07. 2010.** თავისუფალი ჭიდაობა. ბუდაპეშტში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ქართველებმა 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს. მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** და **დავით ხუციშვილი**
**25. 07. 1992. ბარსელონაში** საქართველო პირველად წარსდგა ოლიმპიადებზე ეროვნული დროშით. ქართველთაგან ჩემპიონობა **დავით ხახალეიშვილმა** (ძიუდო), **კახი კახიაშვილმა** (ძალოსნობა) და **ლერი ხაბელოვმა** (თავისუფალი ჭიდაობა) მოიპოვეს
**25. 07. 2011. კალათბურთი.** საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა B დივიზიონი მოიგო და ევროპის ჩემპიონატის ელიტაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთი. ინტერვიუ ირაკლი ჩაჩუასთან

# პრემიალური თანხა ფრენბურთშიც გაჩნდა

**საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შარშან დეკემბერში გამართული საანგარიშო ყრილობის შემდეგ შეიცვალა. სპორტის ამ ულამაზეს სახეობას სათავეში ვეტერანი ფრენბურთელი ირაკლი ჩაჩუა ჩაუდგა, რომელსაც, იმავდროულად სამწვრთნელო გამოცდილებაც აქვს. ის წლების განმავლობაში თურქეთის ქალაქ ბურსასა და საქართველოს ნაკრების ვაჟთა გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო. შვიდი თვე ძირეული ცვლილებების განსახორციელებლად, ცხადია, საკმარისი არ არის. თუმცა გარკვეული გამოცოცხლება ქართულ ფრენბურთში მაინც შეინიშნება. ჩატარებულ სამუშაოსა და მომავლის გეგმებზე ირაკლი ჩაჩუა თავად გვიამბობს:**

- ვინაიდან 2015 წელს თბილისში ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ტარდება, უწინარესად სწორედ ამ შეჯიბრებაში ქალთა და ვაჟთა გუნდების მომზადებაზე გადავიტანეთ აქცენტი. იანვარში ქალთა გუნდის მთავარ მწვრთნელად პაატა ულუმბელაშვილი, ხოლო ვაჟთა გუნდში სულხან ახვლედიანი დაინიშნა.

თებერვალში ჩავატარეთ 1997-98 წლებში დაბადებულთა საქართველოს ჩემპიონატი, სადაც მწვრთნელებს საშუალება მიეცათ ნაკრების კანდიდატები შეერჩიათ. ტურნირში თბილისის გარდა რეგიონების შვიდი გუნდი ასპარეზობდა. ამასთან ერთად, დავიარეთ თბილისის საჯარო სკოლები და 20-20 გოგონა და ვაჟი შევარჩიეთ. მათ ცალკე პროგრამით ერთი თვის განმავლობაში ვავარჯიშებდით. საბოლოოდ კი, ოთხი გოგონა და სამი ვაჟი ავარჩიეთ.

**- მას შემდეგ უკვე ნახევარი წელიწადი გავიდა. თუ მოახერხეს ამ გუნდებმა რაიმე ტურნირზე ასპარეზობა, რათა დაგენახათ, რამდენად სწორადაა აღებული განვითარების კურსი?**

- ორივე გუნდმა, როგორც გოგონებმა ისე ვაჟებმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ მსოფლიოს სპორტის ფესტივალზე იასპარეზეს. გოგონები მეორე ადგილზე გავიდნენ. მათ საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეებს, საფრანგეთისა და ჰოლანდიის გუნდებს სძლიეს. ფინალში კი ავსტრიის აუსბადენის გუნდთან დამარცხდნენ. ვაჟებმა თავისზე ერთი წლით უფროსების წინააღმდეგ ითამაშეს და მესამე ადგილისთვის მატჩში ყაზახეთის ნაკრებთან დამარცხდნენ. საკმაოდ კარგი ტურნირი იყო. ძლიერმა გუნდებმა იასპარეზეს და დავინახეთ, რაზე გვაქვს კიდევ სამუშაო.

**- რაიმე ცვლილებები ხომ არ იგეგმება საქართველოს ჩემპიონატის გამართვის სისტემაში?**

- წლევანდელ ჩემპიონატში ქალთა და ვაჟთა ექვს-ექვსი გუნდი ასპარეზობდა. პირველად მოხდა, რომ საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს პრემიალური თანხა ერგოთ. ჩემპიონს ხუთი ათასი ლარი გადავეცით, მეორე ადგილოსანს - ოთხი ათასი, მესამეს კი, სამი ათასი ლარი.

ამასთან ერთად, ჩატარდა პირველი ლიგის გათამაშება ვაჟთა შორის, სადაც ათი გუნდი ასპარეზობდა. ახლახან მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა რვამდე გავზარდოთ. ამიტომ აქ ხელმოცარულებს პირველ ლიგაში დაქვეითება აღარ მოუწევთ. უმაღლესში თამაშის უფლება კი, საჩხერისა და რუსთავის გუნდებმა მოიპოვეს.

**- რეგიონები ახსენეთ. რა მდგომარეობაა აქ ფრენბურთის განვითარების მხრივ?**

- რეგიონიში ნელ-ნელა საქმე დაიძრა. გუნდი გაჩნდა თეთრიწყაროში, საჩხერეში, წყალტუბოში, მცხეთაში. ბათუმში ფრენბურთი საკმაოდ პოპულარულია. სპორტის ამ სახეობის განვითარების სურვილი ხულოს რაიონმაც გამოთქვა. ქუთაისში მოთამაშეთა ასაკი ჯერ არ არის საკამარისი საიმისოდ, რომ საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზონ. ტრადიციულად კარგი გუნდები ჰყავთ დიდ ჯიხაიშს, დუშეთს და ბოლნისს. მათ კვალში რუსთავიც ჩაუდგა, რომელიც ძლიერი სპორტული ქალაქია.

**- რა მდგომარეობაშია საფრენბურთო ინფრასტრუქტურა. თუ არსებობს ბაზები, ურომლისოდაც სპორტის ამ სახეობის განვითარება შეუძლებელია...**

- თბილისში ვაჟა კაჭარავას სახელობის ოლიმპიური მზადების საფრენბურთო ცენტრში ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ნებისმიერი რანგის გუნდმა საწვრთნელი შეკრება გაიაროს. ასეთივე ბაზაა ყვარელშიც, თუმცა იქ იატაკის სისქე არასაკმარისია და ამიტომ ოდნავ პრობლემურია. სხვა სპეციალიზებული ბაზა არ არსებობს. საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდები თავიანთ დარბაზებში ვარჯიშობენ. ჩემპიონატის მატჩები კი, ორ ტურად ჩავატარეთ თბილისსა და ოზურგეთში.

**- ეროვნული ნაკრებების გეგმებზე რას გვეტყვით?**

- შემოდგომაზე განაცხადი უნდა შევიტანოთ, რათა გაისად 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ვიასპარეზოთ. ვაჟთა 21-წლამდელთა ნაკრები 15-24 აგვისტოს უნგრეთის ქალაქ დებერცენში საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. საფესტივალო ასაკის გოგონათა და ვაჟთა გუნდები კი, 18-25 აგისტოს ბულგარეთში გასამართ ტურნირზე გაემგზავრებიან.

**- ცხადია, საშინაო მეურნეობის გამართვა ფრენბურთის განვითრებისთვის აუცილებელია. თუმცა ამის მიღწევა საერთაშორისო დახმარებისა თუ კონტაქტების გარეშე ძალიან გაჭირდება...**

- პირველი ვიზიტით თურქეთში ვიყავი. ამ ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტმა ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე დამპატიჟა და იქ ბევრ რამეზე შევთანხმდით. ახლა დახმარების პროგრამის შემუშავება იწყება, რაც მწვრთნელებისა და მსაჯების სემინარების გამართვას, ამხანაგური მატჩების ორგანიზებას ითვალისწინებს.

იქვე ვესაუბრეთ აზერბაიჯანის ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს. მათთანაც საქმიანი ურთიერთობა დავამყარეთ. ამას წინათ, აზერბაიჯანის საფესტივალო ქალთა და ვაჟთა გუნდები გვსტუმრობდნენ. მალე ჩვენც ვეწვევით საპასუხო ვიზიტით.

2-5 მაისს ლუქსემბურგში ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის 40-წლისთავზე მიგვიწვიეს. იქვე გადაწყდა აღმოსავლეთ ევროპის ფრენბურთის ზონალურ ასოციაციაში ჩვენი ფედრაციის გაწევრების საკითხი. ამ ორგანიზაციაში შედიან ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ბელარუსი, რუსეთი, პოლონეთი და აზერბაიჯანი. წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი კი ლვოვში გამართულ აღმოსავლეთ ევროპის ფრენბურთის ზონალური ასოსციაციის ასამბლეაზე გადმოგვცეს. იქვე გადაწყდა, რომ მომავალ წელს ასამბლეა თბილისში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს რეგიონში ფრენბურთის განვითრების კოორდინატორი რუსეთის ფედერაციაა. მათ უნდა მოავლინონ საქართველოში სპეციალისტები, ჩაატარონ სემინარები. ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ კონკრეტული პროგრამის შესაქმნელად.

**- საქართველოს სახელით დიდი ხნის განმავლობაში ორი ბრაზილიური წყვილი გამოდიოდა პლაჟის ფრენბურთში. მათ ჩვენი ქვეყნის ღირსება 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზეც დაიცვეს. რატომ აღარ ჩანან ისინი საერთაშორისო ასპარეზზე?**

- შარშანდელი სეზონი ორივე წყვილმა ტრავმიანებმა ითამაშეს. მათთან ურთიერთობა გავწყვიტეთ და პლაჟის ფრენბურთის განვითარების ალტერნატიული გეგმა შევიმუშავეთ. გადავწყვიტეთ, დავიწყოთ ახალგაზრდების მომზადება, მოვაწყოთ რაც შეიძლება ბევრი ტურნირი, მოვიწვიოთ სპეციალისტები. საჭიროა მეტი პოპულარიზაცია.

პლაჟის ფრენბურთში საქართველოში ოთხი ტურნირია, სადაც სარეიტინგო ქულების დარიცხვა ხდება. ესენია: „ქართველას თასი", რომელიც თბილისში ახლახან დასრულდა, ბათუმის საერთაშორისო ტურნირი და საქართველოს ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. ვფიქრობთ, რომ სწორ გზას ვადგავართ და უკეთესი ფინანსური პირობების შემთხვევაში პროგრესი აუცილებლად გვექნება.



მარცხნიდან: ვლადიმერ პატკინი, ანდრე მეიერი და ირაკლი ჩაჩუა

პლაჟის რაგბი



ბურთით გიორგი ფრუიძე

# მესამე ადგილით საფრანგეთიდან

**საქართველოს პლაჟის რაგბის ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ანგლეტში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა და მესამე ადგილი დაიკავა**

ჩვენმა მორაგბეებმა, რომლებსაც თბილისის „ხულიგანას" მთავარი მწვრთნელი **მამუკა ტყეშელაშვილი** მოძღვრავს, შეჯიბრების პირველ დღეს ოთხი მატჩიდან სამი მოიგეს. პირველ მატჩში პორტუგალიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ 2:4, საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთა გუნდს, რომელიც ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია, 4:2 მოუგო. მომდევნო ორი მეტოქის, უკრაინისა და პოლონეთის დამარცხება ჩვენს გუნდს აღარ გასჭირვებია. ქართველმა მორაგბეებმა ორივეს მშრალი ანგარიშით, შესაბამისად 8:0 და 6:0 მოუგეს.

ასევე წარმატებული გამოდგა ტურნირის მეორე და მესამე დღე. საქართველოს ნაკრებმა მოლდავეთისა და უკრაინის ნაკრებებს მოუგო. მესამე ადგილისთვის მატჩში კი, რუსეთის ნაკრები 3:0 დაამარცხა და ტურნირის ბრინჯაოს მედლების მფობელი გახდა. ფინალში მასპინძლებმა იტალიის გუნდი დაამარცხეს და, ისევე როგორც შარშან, წლეულსაც პირველობა არავის დაუთმეს.

**საქართველო**

**მურაზ გიორგაძე, სანდრო ჟღენტი, გიორგი ტალახაძე, რეზო ბროძელი, შალვა მახარაშვილი, ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე, გიორგი აფციაური.**

რაგბი. ლეგიონერები

# კოტერს დინსი შეცვლის?

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** საფრანგეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში, „კლერმონში" ცხრა წელიწადია თამაშობს. ამ დროის უდიდესი ნაწილი ჩვენმა პირველხაზელმა ახალზელანდიელი მწვრთნელის, **ვერნ კოტერის** ხელმძღვანელობით გაატარა. სწორედ მისი თავკაცობით შეძლეს „ვულკანებმა" თავის ისტორიაში პირველად ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

კოტერი მომავალი სეზონის დასრულებისთანავე გუნდს დატოვებს და შოტლანდიის ნაკრებს ჩაიბარებს. ცხადია, დღის წესრიგში ჩვენებურის გუნდის მომავალი დამრიგებლის ვინაობის გარკვევა დადგა. ბედად, „ბრიტანელმა ლომებმა" ავსტრალიურ ტურნეში ამ ქვეყნის ნაკრებთან სამმატჩიანი სერია 2:1 მოიგეს. ავსტრალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელების მოთმინების ფიალაში ეს ბოლო წვეთი იყო. მათ „ვოლაბების" ახალზელანდიელი თავკაცი **რობი დინსი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კოტერმა „ვულკანების" მესვეურებთან თანამემამულეს რეკომენდაცია გაუწია. აღსანიშნავია, რომ რობის 1983 წელს ფრანგულ „გრენობლში" უთამაშია. ამასთან ერთად, ის კოტერის მსგავსად, ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზის" სარაგბო ფილოსოფიის მიმდევარია. რაც ყველაზე მთავარია, მისი მეუღლე **პენი** შესანიშნავად ფლობს ფრანგულ ენას. ერთი სიტყვით რობი დინსს, ისევე როგორც „კლერმონის" ხელმძღვანელობას, მოსაფიქრებლად დრო ბევრი აქვთ. საკითხავი ისაა, შეძლებს თუ არა „ვოლაბების" დაწუნებული თავკაცი „ვულკანების" ამბიციების დაკმაყოფილებას.

# ნოდარ ჭელიძემ ლელო დატოვა

საქართველოდან მორაგბეების გადინება გრძელდება. ახლახან საქართველოს ჩემპიონის თბილისის „ლელოს" რიგები დატოვა და საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ნევერში" გადაბარგდა მეორეხაზელი **ნოდარ ჭეიშვილი.**

22 წლის მორაგბე ოვალური ბურთით თამაშს სამი წლის წინათ ეზიარა და „ლელოში" **ლევან მაისაშვილის** ხელმძღვანელობით დაიხვეწა, გაიზარდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე მაღალი ქართველი მორაგბეა. მისი სიმაღლე 203 სანტიმეტრია და 117 კილოგრამს იწონის.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

**„ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს ნაკრების მორაგბეს, „ლელოს ვერსიით" საქართველოს 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენს, მამუკა გორგოძეს მამის გარდაცვალების გამო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



უმაგის ცენტრალური კორტი

# ყურადღებით: ისევ ფედერერი!

ამ კვირას, მამაკაცთა და ქალთა ტურში ხუთი ტურნირი იმართება. ყურადღებაკვლავაც კრიზისში მყოფი **როჯერ ფედერერის** მიმართ იქნება მიპყრობილი, რომელიც, ამჯერად შვეიცარიის ქალაქ გშტაადგში გამოდის.

## სტენფორდი სერენას გარეშე

სტენფორდის უნივერსიტეტის საჩოგბურთო ცენტრი მეჩვიდმეტედ მიიღებს წარმომადგენლობით ტურნირს, რომლითაც იხსნება US Open Series - ტურნირების სერია, რომელიც წინ უძღვის აშშ-ის ღია პირველობას. მსოფლიოს პირველი ნომერი **სერენა უილიამსი**, ვინც აქ 2011 და 2012 წლებში მოიგო მთავარი პრიზი, უარი თქვა ტიტულის დაცვაზე და ამიტომაც, განთესვის პირველი ნომერი მიილო პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** - WTA-ის მეოთხე ჩოგანმა. ის ბრძოლას მეორე წრიდან დაიწყებს და პირველ მეტოქედ შეიძლება ჰყავდეს 2011 წლის როლან გაროსის ჩემპიონი **ფრანჩესკა სკიავონე** (თუ იტალიელი პირველ წრეში მოუგებს ამერიკელ **მელორი ბურდეტს**). ტურნირის მეორე ნომერი **სამანტა სტოსური** პირველ მატჩს ან გერმანელი **იულია გორგესის** ან ბელარუსი **ოლგა გოვორცოვას** წინააღმდეგ ჩაატარებს.

სერენას არყოფნაში, ამერიკული პუბლიკის მთავარი იმედი იქნება **ჯეიმი ჰემპტონი**, რომელიც როლან გაროსსა და ისბორნში წარმატებული გამოსვლის შემდეგ, WTA-ის კლასიფიკაციაში 29-ე ადგილზე გადავიდა და სტენფორდში განთესვის მეოთხე ნომერი მიილო. გარდა ამისა, კალიფორნიულ ტურნირზე აშშ-ს წარმოადგენენ **ვარვარა ლეპჩენკო** (მე-6 ნომერი), პერსპექტიული **მედისონ კისი** და **კრისტინა მაკჰეილი**, რომელიც სასტარტო რაუნდში შეხვდება მეშვიდე განთესილს **ურსულა რადვანსკას**.

ასევე განთესილებს შორის არიან **დომინიკა ციბულკოვა** (3), **სორანა კირსტეა** (5) და **მაგდალენა რიბარიკოვა** (8). პირველი წრეში ყველაზე საინტერესო მატჩია **დანიელა ჰანტუხოვასა** და **იანინა ვიკმაიერს** შორის.

## ბაქოში იოვანოვსკი დაიცავს

მსოფლიოს 38-ე ჩოგანი **ბოიანა იოვანოვსკი** ბრუნდება აზერბაიჯანის დედაქალაქში შარშანდელი ტიტულის დასაცავად. სერბი პირველ ნომრად არის განთესილი და საწყის რაუნდში უზბეკეთის წარმომადგენელს **ნიგინა აბდურაიმოვას** შეხვდება.

იოვანოვსკის პირველობაში კონკურენცია შეუძლია გაუწიონ: **დონა ვეკიჩმა, შანელ სხეპერსმა, მენდი მინელამ, დებმა კრისტინა** და **კაროლინა პლიშკოვებმა, ელინა სვიტოლინამ...**

## ფედერერი: ცხრა წლის შემდეგ გშტაადში

როჯერ ფედერერი გშტაადის გრუნტზე პირველად გამოვა მას შემდეგ, რაც ეს ტურნირი 2004 წელს მოიგო. უიმბლდონზე განცდილი კრახის შემდეგ, შვეიცარიელმა გასულ კვირას ჰამბურგის ნახევარფინალამდე მიაღწია, მაგრამ იქ მოულოდნელი მარცხი იწვნია 114-ე ჩოგანთან **ფედერიკო დელბონისთან**. ახლა, ნავსის გატეხვას როჯერი სამშობლოში ეცდება. გშტაადში ის პირველ ნომრად არის განთესილი და მეორე წრიდან დაიწყებს გამოსვლას. მისი პირველი მეტოქე შეიძლება გახდეს თანამემამულე **მარკო ჩიუდინელი** ან გერმანელი **დანიელ ბრანდსი**, რომელსაც ჰამბურგის ტურნირზე სამ სეტში მოუგო.

ფედერერს გშტაადში კონკურენციას გაუწევენ თანამემამულე **სტანისლას ვავრინკა**, სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** და არგენტინელი **ხუან მონაკო**. ისინი განთესილთა ტოპ-ოთხეულში შედიან. შვეიცარიაში ასევე გამოვლენ **ფელისიანო ლოპესი, ლუკაშ როსოლი, რობერტო ბაუტისტა აგუტი** და ფედერიკო დელბონისი.

## გასკეს დებიუტი

მსოფლიოს მეცხრე ჩოგანი **რიშარ გასკე** კარიერაში პირველად აპირებს უმაგში ხორვატიის ღია პირველობაზე გამოსვლას. ფრანგი პირველ ნომრად არის განთესილი და იტალიელების - **ანდრეას სეპისა** და **ფაბიო ფონინის**, აგრეთვე უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** (2011 წლის ჩემპიონი) მსგავსად, მეორე წრიდან დაიწყებს ბრძოლას. ასევე განთესილთა შორის მოხვდნენ **მარტინ კლიჟანი, ფლორიან მაიერი** და **კარლოს ბერლოკი**. აქვეა ფრანგი „შოუმენი" **გაელ მონფილსი**.

რა თქმა უნდა, გასკეს გარდა, უმაგში დიდ ინტერესს იწვევს ფონინის გამოსვლა, რომელსაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში ორი ტურნირი აქვს მოგებული (შტუტგარტსა და ჰამბურგში).

## ფიშის დაბრუნება

ატლანტას ტურნირის მთავარი მოვლენა ის არის, რომ პროფესიულ ტურს უბრუნდება 2010 და 2011 წლების ჩემპიონი, ამერიკელი **მერდი ფიში**, რომელსაც გულის ავადმყოფობის გამო ძალიან ბევრი გაუცდა. შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ, ფიში მხოლოდ ორ ტურნირზე გამოჩნდა - ინდიან უელსის მასტერსზე და სავანის „ჩელენჯზე" და სამი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ატლანტაში ის მეექვსე ნომრად იქნება განთესილი და პირველ წრეში თანამემამულე **მაიკლ რასელს** შეხვდება.

ატლანტაში პირველ ნომრად არის განთესილი **ჯონ ისნერი**, ასევე კორტზე ვიხილავთ ისეთ ჩოგბურთელებს, როგორებიც არიან **კევინ ანდერსონი, ივან დოდიგი, იგორ სისლინგი, იენ სუნ ლუ, ლეიტონ ჰიუიტი...**

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 12 310 |
| 2(2). ენდი მარეი (ბრიტ) | 9 360 |
| 3(3). დავიდ ფერერი (ესპ) | 7 120 |
| 4(4). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 860 |
| 5(5). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 5 875 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 865 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 500 |
| 8(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 480 |
| 9(9). რიშარ გასკე (საფ) | 3 045 |
| 10(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 915 |
| 11(12). კეი ნიშიკორი (იაპ) | 2 495 |
| 12(11). ტომი ჰაასი (გერ) | 2 395 |
| 13(13). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 295 |
| 14(15). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 135 |
| 15(14). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 075 |
| 16(18). ჟილ სიმონი (საფ) | 2 055 |
| 17(17). იერჟი იანოვიჩი (პოლ) | 2 029 |
| 18(16). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 025 |
| 19(25). ფაბიო ფონინი (იტა) | 1 970 |
| 20(19). სემ კუერი (აშშ) | 1 730 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 11 705 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 9 235 |
| 3(3). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 8 825 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 5 965 |
| 5(5). ნა ლი (ჩინ) | 5 555 |
| 6(6). სარა ერანი (იტა) | 5 100 |
| 7(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 435 |
| 8(7). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 365 |
| 9(9). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 3 970 |
| 10(10). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 660 |
| 11(11). რობერტა ვინჩი (იტა) | 3 220 |
| 12(12). მარია კირილენკო (რუს) | 2 976 |
| 13(13). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 2 965 |
| 14(15). კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) | 2 886 |
| 15(16). სლოან სტივენსი (აშშ) | 2 870 |
| 16(14). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2 865 |
| 17(17). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 740 |
| 18(18). საბინ ლისიცკი (გერ) | 2 650 |
| 19(20) . კარლა სუარეს ნავარო (ესპ) | 2 430 |
| 20(19). ნადია პეტროვა (რუს) | 2 306 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5 750 797 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 5 714 859 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 4 940 806 |
| 4. დავიდ ფერერი (ესპ) | 2 785 930 |
| 5. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 1 839 441 |
| 6. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 677 752 |
| 7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 673 463 |
| 8. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 438 064 |
| 9. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 241 659 |
| 10. ბობ ბრაიანი (აშშ) | 1 206 278 |
| 10. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 1 206 278 |
| 12. იერჟი იანოვიჩი (პოლ) | 1 138 123 |
| 13. რიშარ გასკე (საფ) | 1 115 229 |
| 14. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 114 141 |
| 15. ტომი ჰაასი (გერ) | 1 097 367 |
| 16. ფაბიო ფონინი (იტა) | 1 088 357 |
| 17. კეი ნიშიკორი (იაპ) | 933 769 |
| 18. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 875 743 |
| 19. ჟილ სიმონი (საფ) | 832 451 |
| 20. კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 768 747 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 4 826 086 |
| 2. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3 774 127 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 3 532 022 |
| 4. მარიონ ბარტოლი (საფ) | 2 854 202 |
| 5. სარა ერანი (იტა) | 2 019 669 |
| 6. ნა ლი (ჩინ) | 1 943 256 |
| 7. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1 683 385 |
| 8. საბინ ლისიცკი (გერ) | 1 572 362 |
| 9. რობერტა ვინჩი (იტა) | 1 327 328 |
| 10. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 1 205 608 |
| 11. სლოან სტივენსი (აშშ) | 1 133 503 |
| 12. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 1 035 187 |
| 13. კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) | 1 027 482 |
| 14. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 1 027 374 |
| 15. ელენა ვესნინა (რუს) | 929 120 |
| 16. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 863 454 |
| 17. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 837 368 |
| 18. მარია კირილენკო (რუს) | 826 339 |
| 19. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 725 467 |
| 20. ნადია პეტროვა (რუს) | 692 565 |

# ივოს ტიტულიანი დაბრუნება

ჰამბურგის ტურნირის პარალელურად, გასულ კვირას, კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ჰარდის საფარზე იმართებოდა ტურნირი. ეს ქალაქი ATP-ის დონის შეჯიბრს 1997-2002 წელს მასპინძლობდა და 11-წლიანი შესვენების შემდეგ, დიდი ჩოგბურთი კოლუმბიაში დაბრუნდა. მაღალრეიტინგიანი ჩოგბურთელებიდან იქ მხოლოდ **იანკო ტიპსარევიჩი** ჩავიდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში იკავებდა ადგილს. TOP20-დან ბოგოტაში სხვა ჩოგბურთელი არ ჩასულა, უფრო მეტიც, TOP50-დან კოლუმბიელებს პატივი მხოლოდ **კევინ ანდერსონმა** დასდო.

ტიპსარევიჩმა კოლუმბიაში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, მაგრამ შემდეგ, ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, **ალეხანდრო ფალასთან** წააგო. საბოლოოდ, კოლუმბიელი ფინალში გავიდა, როცა ტიპსარევიჩის შემდეგ **ვაშეკ პოსპიშილი** დაამარცხა.

გადამწყვეტ მატჩში ფალას მეტოქე იყო **ივო კარლოვიჩი**, რომელმაც ზაფხულში მძიმე ვირუსული მენინგიტი გადაიტანა. ამის შესახებ ხორვატმა კოლუმბიაში ილაპარაკა: *"ექიმი დარწმუნებული არ იყო, რომ შევძლებდი ასი პროცენტით გამოჯანმრთელებას. დიდი ხანი უგონო მდგომარეობაში ვიყავი. საკუთარ სახელს ვერ ვიხსენებდი და არ ვიცოდი, რომელი წელი იყო. მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ გავიხსენე ჩემი სახელი".*

მიუხედავად ამისა, ივომ შეძლო ივლისში ჩოგბურთში დაბრუნება და ნიუპორტის ტურნირის მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც წააგო **ჯონ ისნერთან**. ბოგოტა მისთვის მეორე ტურნირი იყო დაბრუნების შემდეგ და აქ მან შეძლო ფინალში გასვლა (პირველად სამწლინახევრიანი შესვენების შემდეგ). რა თქმა უნდა, გადამწყვეტ მატჩში პუბლიკა ფალას მხარეს იყო, მაგრამ ამან მასპინძელს არ უშველა. კარლოვიჩმა მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაუთმო და 16 ეისის ხარჯზე გაიმარჯვა – 6:3, 7:6(4).

კარლოვიჩისთვის ეს არის მეხუთე ტიტული კარიერაში და პირველი 2008 წლის შემდეგ. სხვათა შორის, წელს ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ATP-ის ტურნირს იგებს 30 წელს გადაცილებული ჩოგბურთელი. ამ სეზონში ორ-ორი ტიტული აიღეს 31 წლის **დავიდ ფერერმა** და **ნიკოლა მაუმ**, თითოჯერ გაიმარჯვეს 30 წლის **ტომი რობრედომ**, 32 წლის **ალბერტ მონტანიესმა**, 31 წლის **ფელისიანო ლოპესმა**, 30 წლის **კარლოს ბერლოკმა** და 35 წლის **ტომი ჰაასმა**.



ივო კარლოვიჩი

# ავსტრიაში მასპინძელმა მოიგო

შვედეთის ბასტადის გარდა, გასულ კვირას ქალ ჩოგბურთელებს ავსტრიის ბად-გაშტაინი მასპინძლობდა. აქ განთესვის პირველი ნომერი მიილო გერმანელმა **მონა ბარტელმა**, ბადის ქვედა მხარეს კი ფავორიტად მიიჩნეოდა მისი თანამემამულე **ანიკა ბეკი**. სინამდვილეში, გერმანელი ჩოგბურთელები შორს იყვნენ ოპტიმალური ფორმისგან და ორივენი მეოთხედფინალიდან ჩამოშორდნენ ბრძოლას - შესაბამისად წააგეს **ლიზა-მარია მოზერთან** და **კარინ კნაპთან**. ლიდერების გარეშე ბადეში სიტუაცია ძალიან აირია. პირველ დღეებში სტატისტიკის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილი იყო **არანჩა რუსისკენ**. ჰოლანდიელმა, როგორც იქნა, შეწყვიტა WTA-ის ტურნირებზე 17-მატჩიანი მოუგებელი სერია - მან შეძლო დაძაბულ ბრძოლაში **მარია-ტერეზა ტორო ფლორის** დამარცხება – 7:5, 5:7, 6:4. მადაზე მოსულმა არანჩამ კიდევ ერთი წრე გაიარა, მაგრამ შემდეგ წააგო ავსტრიელ **ივონ მოისბურგერთან** - 1:6, 6:7. საბოლოოდ, მოისბურგერი მშობლიურ ტურნირზე კარიერაში მეორედ გავიდა ფინალში, ამასთან, არც ერთი სეტი არ წაუგია.

ბადის ზედა მხარეს კარგი გარღვევა გამოუვიდა იუნიორ უკრაინელ **ელინა სვიტოლინას**. 18 წლის ჩოგბურთელმა ასაკთან შეუსაბამო ძალიან კარგი დონე აჩვენა. სვიტოლინამ მძიმე ბრძოლაში მოუგო მეექვსე ნომრად განთესილ სამხრეთაფრიკელ **შანელ სხეპერსს** (7:5, 1:6, 6:1), შემდეგ გაანადგურა ავსტრიელი **პატრისია მაირ-ახლაიტნერი** - 6:3, 6:0. უკრაინელს WTA-ის ფინალში პირველად გასვლის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ მის გზაზე **ანდრეა ჰლავაჩკოვა** აღმოჩნდა. მათი შეხვედრა ტურნირის მშვენება აღმოჩნდა. ჩოგბურთელებმა ფინალის საგზურის გათამაშებას ორსაათახევარი მოანდომეს და დრამატულ ბრძოლაში ჩეხმა მოიგო - 7:5, 6:7(1), 6:4.

ვისაც არ უნდა მოეგო ფინალში, მისთვის ეს იქნებოდა კარიერაში პირველი ტიტული. ყველა ფაქტი მოისბურგერის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. ჯერჯერთი, ივონი საკუთარი მაყურებლის წინაშე თამაშობდა, გარდა ამისა, ნახევარფინალში მან ნაკლები ენერგია დახარჯა. ფინალის პირველი პარტია თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და მისი დასასრული გადამწყვეტი აღმოჩნდა. ავსტრიელმა აილო სეტი, მეორე პარტიისთვის კი მის მეტოქეს ძალები აღარ შერჩა. მოისბურგერმა დამაჯერებლად მოიგო – 7:5, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# დებიუტანტი აღარ ხუმრობს

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატი აშშ-ის გრანპრით გაგრძელდა, რომელიც კალიფორნიის შტატში ლაგუნა სეკას ტრასაზე გაიმართა. ჩვენ უკვე ვწერდით ამ რბოლისწინა პერიპეტიებზე, კერძოდ იმაზე, რომ გერმანიის გრანპრიზე მიღებული ტრავმების მიუხედავად, აშშ-ში გამოსვლას აპირებდნენ ესპანელები - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ხორხე ლორენსო** და საერთო ჩათვლის ყოფილი ლიდერი **დანი პედროსა**. თუმცა „ზახსენრინგზე" მიღებულმა დაზიანებებმა ფავორიტების გამოსვლას მაინც კვალი დაამჩნია და პედროსამ და ლორენსომ, შესაბამისად, მეხუთე და მეექვსე ადგილები დაიკავეს.

სანამ გრანდები ფორმაში არ არიან, ამ პერიოდის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობს „ჰონდას" დებიუტანტი **მარკ მარკესი**. და ეს ძალიან კარგად გამოსდის. ახალგაზრდა ესპანელმა ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო და გაზარდა უპირატესობა გენერალურ კლასიფიკაციაში.

არადა, პოულის მფლობელი გერმანელი **შტეფან ბრადლი** გახდა. რბოლაშიც, სასტარტო ნიშანზე ყველაზე კარგი რეაქცია მას ჰქონდა, აგრეთვე **ვალენტინო როსის**. პირველი წრის ბოლოს ეს დუეტი ლიდერობდა, შემდეგ მოდიოდნენ: მარკესი, ლორენსო, **ბაუტისტა**, პედროსა...

მეორე წრეზე ბაუტისტამ გაუსწრო ლორენსოს და მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა. მეოთხე წრეზე კი ტემპს მოუმატა მარკესმა: ესპანელმა გაბედა და მოსახვევში შეუტია როსის. მართალია, მარკს სახიფათო მანევრის გამო გზიდან გადასვლამ მოუწია, მაგრამ მაინც გაუსწრო ლეგენდარულ იტალიელს და ბრადლს გამოეკიდა.

გერმანელი კარგა ხანი ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ ფინიშამდე 14 წრით ადრე, მარკესმა მაინც მოახერხა ბრადლის გასწრება. მარკმა ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა და სეზონში მესამე გრანპრი მოიგო, ბრადლი მეორეზე გავიდა, ხოლო მესამეზე როსი, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მესამე პოდიუმია.




მარკ მარკესი

**აშშ-ის გრანპრი**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 32 წრე; 2. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - +2,298; 3. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +4,498; 4. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +4,557; 5. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +9,257; 6. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - +12,970...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 163 ქულა; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 147; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 137; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 117; 5. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - 116; 6. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - 84...

ჰოკეი. სოჭი 2014

# კანადა ბებკოკს ჩააბარეს

მას შემდეგ, რაც ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ თავის მოთამაშეებს სოჭის ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება დართო, კანადის ჰოკეის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ 2014 წლის ზამთრის თამაშებზე ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელი იქნება „დეტროიტ რედ უინგზის" დამრიგებელი **მაიკ ბებკოკი**. მისი თანაშემწეების როლს შეასრულებენ: **კენ ჰიჩკოკი** („სენტ ლუისი"), **კლოდ ჟულიენი** („ბოსტონი") და **ლინდი რაფი** („დალასი").

აღვნიშნავთ, რომ ბებკოკი, ჰიჩკოკი და რაფი ასევე შედიოდნენ კანადის იმ ნაკრების შტაბში, რომელმაც 2010 წელს, ვანკუვერის თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ კანადელები წინასაოლიმპიადო შეკრებას 25-28 აგვისტოს კალგარიში გაივლიან.

■ ■ ■

ამასობაში, სოჭში კანადელთა ერთ-ერთი მთავარი კონკურენტის - რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზინეტულა ბილიალეტდინოვმა** გამოაცხადა ოლიმპიადაზე გამგზავრების პრეტენდენტები. წინასაოლიმპიადო შეკრებაზე, რომელიც 23-24 აგვისტოს სოჭში გაიმართება, 35 ჰოკეისტია მიწვეული: 5 მეკარე, 12 მცველი, 18 თავდამსხმელი.

**სია ასე გამოიყურება**

**მეკარეები:** კონსტანტინ ბარულინი, სერგეი ბობროვსკი, სემიონ ვარლამოვი, ვასილი კოშეჩკინი, ევგენი ნაბოკოვი;

**მცველები:** ევგენი ბირიუკოვი, ვიაჩესლავ ვოინოვი, ანტონ ვოლჩენკოვი, სერგეი გონჩარი, დენის დენისოვი, ალექსეი ემელინი, ანდრეი მარკოვი, ევგენი მედვედევი, ნიკიტა ნიკიტინი, ილია ნიკულინი, ევგენი რიაჩენსკი, ფიოდორ ტიუტინი;

**თავდამსხმელები:** არტიომ ანისიმოვი, მიხაილ ვარნაკოვი, პაველ დაციუკი, ილია კოვალჩუკი, დენის კოკარევი, ევგენი კუზნეცოვი, ნიკოლაი კულემინი, ევგენი მალკინი, ალექსანდრ ოვეჩკინი, ალექსანდრ პერეჟოგინი, ალექსანდრ პოპოვი, ალექსანდრ რადულოვი, ალექსანდრ სიომინი, ვლადიმირ ტარასენკო, ალექსეი ტერეშჩენკო, ვიქტორ ტიხონოვი, ვადიმ შიპაჩოვი, ნაილ იაკუპოვი.

ამბები

**კალათბურთი**

## რონდო სეზონს დაიწყებს

„ბოსტონ სელტიქსის" გენერალურმა მენეჯერმა **დენი ეინჯმა** ESPN-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ გუნდის ძირითადი გამთამაშებელი **რაჟონ რონდო** 2013-14 წლების სეზონის დასაწყისისთვის უნდა ჩადგეს მწყობრში.

26 წლის მცველმა გასულ სეზონში 38 მატჩი ჩაატარა, რის შემდეგაც იძულებული გახდა, რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო გამოეტოვებინა. შარშან, მისი სტატისტიკური მაჩვენებლები 13.7 ქულას, 11.1 შედეგიან გადაცემასა და 5.6 მოხსნას უდრიდა.

## ნახევარი მილიონი კობის ნივთებში

ორი საჩემპიონო ბეჭედი, რომელიც „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** თავის მშობლებს აჩუქა, აუქციონზე თითქმის 300 ათას დოლარად გაიყიდა. 2000 წელს მოგებული ბეჭედი, რომელიც კობიმ მამამისს უსახსოვრა, 174 184 დოლარად შეიძინეს.

საერთო ჯამში, აუქციონზე გაიტანეს ბრაიანტის ექვსი ნივთი, რომლის საერთო ღირებულებამ 433 531 დოლარი შეადგინა.

ადრე კალათბურთელმა სასამართლოში უჩივლა აუქციონის ორაგნიზატორებს იმის გამო, რომ მის მშობლებს არ ჰქონდათ ამ ნივთების გასაყიდად გამოტანის უფლება. თუმცა გასულ თვეში მშობლებს მაინც დართეს აუქციონზე ნივთების გატანის ნება. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მათ კობის ბოდიში მოუხადეს და მატერიალური დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს.

**ფრენბურთი**

## რევანში არ შედგა

არგენტინაში დასრულდა მსოფლიოს ლიგის გათამაშება მამაკაც ფრენბურთელებს შორის. როგორც უკვე ვწერდით, ფინალში ტიტული უნდა გაეთამაშებინათ რუსეთისა და ბრაზილიის ნაკრებებს, რომლებიც „ექვსთა ფინალის" წინასწარ რაუნდშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ რუსებმა ხუთ სეტში მოუგეს მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონებს.

რევანში არ შედგა. გადამწყვეტ მატჩში რუსეთის ნაკრების უპირატესობა კიდევ უფრო დიდი იყო და მან 3:0 (25:23, 25:19, 25:19) გაიმარჯვა.

ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა იტალიის ნაკრები, რომელმაც მესამე ადგილისთვის მატჩში 3:2 დაამარცხა ბულგარეთი.

მსოფლიოს ლიგის გათამაშება 1990 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. რუსეთის ნაკრებმა ტურნირი მესამედ მოიგო, რეკორდსმენი კი ამ მხრივ ბრაზილიის ნაკრებია, რომელსაც ცხრაჯერ გაუმარჯვია.

**ჰოკეი**

## იაგრმა ნიუ ჯერსი აირჩია

ლეგენდარულმა ჩეხმა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** „ნიუ ჯერსი დევილზთან" ერთწლიან კონტრაქტზე მიაღწია შეთანხმებას, - იტყობინება ამერიკული პრესა. ოფიციალურად ამ გარიგების შესახებ უახლოეს ხანში გამოცხადდება.

გასულ სეზონში 41 წლის თავდამსხმელმა 67 მატჩი ჩაატარა „ბოსტონის" შემადგენლობაში და 45 ქულა (16+29) დააგროვა.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ იაგრის გადაბირებით NHL-ის სამი კლუბი იყო დაინტერესებული.

**ფორმულა 1**

## შეზღუდვა გამკაცრდა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაამტკიცა პიტ-ლეინზე მოძრაობისას ბოლიდებზე სიჩქარის ახალი შეზღუდვა. ადრე, სარბოლო უქმეების დროს, შეზღუდვა საათში 100 კილომეტრს შეადგენდა, მაგრამ, ახლა, გერმანიის გრანპრის დროს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, ეს მაჩვენებელი 80 კმ/სთ-ს შეადგენს. წესი ძალაში უნგრეთის გრანპრიდან შევა და მინიმუმ მიმდინარე სეზონის ბოლომდე იმოქმედებს.

ვარაუდობენ, რომ ეს ცვლილება შესამჩნევად იმოქმედებს რბოლების დროს გუნდების სტრატეგიაზე. წინასწარი გათვლებით, უნგრეთის გრანპრისას პიტსტოპის საშუალო დრო 16.4 წამი იქნება, იმ დროს, როცა ადრე ეს მაჩვენებელი 12.3 წამს უდრიდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ნაგოია-არსენალი | 1:3 |
| ჰოგრო-ჰორსენსი | 1:2 |
| ინტერი-ვიჩენცა | 3:1 |
| პუშკაში-ვესტ ბრომვიჩი | 0:3 |
| დესელი-ლიერსი | 1:3 |
| უიგანი-ატრომიტოსი | 2:1 |
| ალფრეტონი-შეფილდი | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-კოტბუსი | 1:0 |
| **ევრო 2013** | |
| **ქალები. 1/4 ფინალი** | |
| ნორვეგია-ესპანეთი | 3:1 |
| საფრანგეთი-დანია | 1:1 პენ. 2:4 |
| **დანია** | |
| ესბერგი-ნორდსიელანდი | 4:0 |
| **შვედეთი** | |
| ჰაკენი-აიკ | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ლანდსკრონა-ვარბერგი | 5:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პკ35-ჰაკა | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| სერვეტი-ვადუცი | 0:1 |
| **ისლანდია** | |
| ფრამი-ვიკინგური | 3:4 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ზოლესლავი-პრშიბრამი | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| ცსკა-კრილია | 2:1 |
| **უკრაინა** | |
| ზორია-მეტალურგი (ზ) | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| ლეხია-პოდბესკიძე | 2:2 |
| **ხორვატია** | |
| ოსიეკი-ლოკომოტივა | 1:2 |
| **რუმინეთი** | |
| კორონა-ოცელული | 0:1 |
| ვასლუი-რაპიდი | 2:1 |
| **ბულგარეთი** | |
| სლავია-ბეროე | 0:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. გშტაადი** | |
| სტახოვსკი-კუზნეცოვი | 5:7, 6:3, 2:6 |
| როსოლი-გრანოლერსი | 2:6, 4:6 |
| მატიო-იუჟნი | 3:6, 6:4, 2:6 |
| ფ. ლოპესი-ჰერნიხი | 7:6, 6:3 |
| **ATP. უმაგი** | |
| ლ. მაიერი-რამოსი | 6:1, 6:3 |
| ტურსუნოვი-დე ბაკერი | 3:6, 3:6 |
| **WTA. ბაქო** | |
| კრაიჩეკი-კადანტუ | 6:2, 0:6, 3:6 |
| მაიერიჩი-კარ. პლიშკოვა | 7:5, 6:4 |
| ჯაფაროვა-ვეკიჩი | 1:6, 0:6 |
| ჟაბორი-გავრილოვა | 6:4, 6:0 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| გორგესი-გოვორცოვა | 6:7, 2:6 |

TV პროგრამა

**23 ივლისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - მანჩესტერ იუნ.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-აიაქსი.
14:20 ამხანაგური მატჩი. იოკოჰამა-მანჩესტერ იუნ (LIVE).
16:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
17:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - ლანუსი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
21:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-გრონინგენი.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-ბაიერნი.
01:00 ამხანაგური მატჩი. იოკოჰამა-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-შალკე.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-დალასი.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერენვეენი.
17:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია.
19:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
22:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-დალასი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-სან ანტონიო.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
18:30 სპორტ-NEWS.
19:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ინდიანა.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 19 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 20 | 26 | (მზე) |
| ფოთი | 21 | 25 | (მზე) |
| ზუგდიდი | 18 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 17 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 19 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 11 | 19 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 16 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 13 | 21 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1792 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6532 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5337 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1145 |

ჩოგბურთი

# ჰინგისს აშშ-ს ღიაზეც ვნახავთ

ყოველდღიურად ვრცელდება ახალი ამბები მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისის** შესახებ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, მან დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შესახებ გამოაცხადა და კარლსბადის ტურნირში თამაში დაგეგმა. შემდეგ კი განაცხადა, რომ ნიუ ჰევენშიც აპირებს გამოსვლას. როგორც იცით, ლაპარაკია წყვილთა თანრიგზე, სადაც 32 წლის ჰინგისი სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან** ერთად გამოვა.




მარტინა ჰინგისი

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ დაბრუნების შემდეგ, ჰინგისი ჯერჯერობით ხუთ ტურნირში გეგმავს თამაშს. კარლსბადისა და ნიუ ჰევენის გარდა, ეს შეჯიბრებებია ტორონტოსა და ცინცინატის უმაღლესი კატეგორიის ტურნირები და აშშ-ის ღია პირველობა.

ჯერჯერობით უცნობია, გახდება თუ არა ჰანტუხოვა მარტინას მუდმივი პარტნიორი წყვილთა თანრიგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი



ანტონიო ვეიჩი

# ხუთი ექვმიტანილი

## ხორვატი და მოლდოველი ჩოგბურთელები საკუთარი მატჩების შეგნებულად წაგებაში არიან ეჭვმიტანილნი

ოთხი ხორვატი და ერთი მოლდოველი ჩოგბურთელი ეჭვმიტანილნი არიან გასულ კვირას საკუთარი მატჩების შეგნებულად დათმობაში.

ხორვატებმა - **ანტონიო ვეიჩმა** (172-ე ჩოგანი), **ნიკოლა მეკტიჩმა** (337), **დინო მარცანმა** (366), **ტონი ანდროიჩმა** (391) და მოლდოველმა **რადუ ალბოტმა** (209) სხვადასხვა ტურნირზე წააგეს მატჩები ორ სეტში.

ხორვატული პრესის ცნობით, გამოძიების ინიციატორებად გამოვიდნენ რუმინელი ბუკმეიკერები, რომლებმაც აღნიშნეს ანომალიურად მაღალი ფსონები ჩამოთვლილი ჩოგბურთელების წაგებებზე. ტოტალიზატორების ზარალმა 500 ათასი ევრო შეადგინა, რის შემდეგაც, მათ ინტერპოლსა და ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებს მიმართეს.

საინტერესოა, რომ ანტონიო ვეიჩი ერთხელ უკვე იყო ეჭვმიტანილი ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობაში. ეს მოხდა 2009 წელს, ზაგრების ტურნირზე, როცა არგენტინელ **გილერმო კანიასთან** მატჩის პირველ სეტზე შეინიშნებოდა ფსონების უცნაური მანიპულაციები. მაშინ ვეიჩმა, რომელიც აშკარა აუტსაიდერად მიიჩნეოდა, წააგო პირველი სეტი, მაგრამ შეხვედრის მოგება შეძლო.

● ფორმულა 1

# შუმახერის ოთხი ფავორიტი

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი**, რომელიც გასული სეზონის შემდეგ საბოლოოდ გამოეთხოვა აქტიურ სპორტს, ყურადღებით აკვირდება წლევანდელ ჩემპიონატში მიმდინარე მოვლენებს. გასულ უქმეებზე, ტელეარხ Sky Italia-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, მან პირდაპირ არ უპასუხა კითხვას - ვინ არის თანამედროვეობის საუკეთესო პილოტი, სამაგიეროდ, გამოარჩია ოთხი ავტომრბოლი და ამ ჯგუფში არ შეიყვანა „მერსედესში“ თავისი ყოფილი თანაგუნდელი **ნიკო როსბერგი**.

*„დღეისთვის საუკეთესო პილოტებად შეიძლება მოვიხსენიოთ ფეტელი, ალონსო, რაიკონენი და ჰემილტონი,* - განაცხადა მიხაელმა. - *ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან და თავიანთი სისუსტეები ახასიათებთ, მაგრამ საკუთარ თავზე კარგად მუშაობენ იმისთვის, რომ ეს ნაკლოვანებები შენიღბონ“.*

შუმახერის აზრით, მნიშვნელოვანია ის, რომ ეს პილოტები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი შედეგების გასაუმჯობესებლად და პრაქტიკულად არ უშვებენ შეცდომებს. გარდა ამისა, მიხაელის არჩევანის სამართლიანობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ეს ოთხი პილოტი იკავებს მიმდინარე ჩემპიონატის გენერალურ კლასიფიკაციაში პირველ ოთხ პოზიციას.

რაც შეეხება წლევანდელი სეზონის მთავარ პრობლემას - „პირელის“ საბურავებს, შუმახერმა ამასთან დაკავშირებით კრიტიკული აზრი გამოთქვა: *„ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საბურავები ყველა გუნდს უნდა ერგებოდეს, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ისინი ნორმალურად მხოლოდ რამდენიმე მანქანაზე მუშაობდნენ.*

*ჯერ კიდევ შარშან, ბაჰრეინში ვლაპარაკობდი საბურავის პრობლემებზე, მაგრამ ახლა ეს ყველას შეამჩნია...“*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მიხაელ შუმახერი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608